CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 12 ოქტომბერი, 2009 წელი. №222 (2260) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



კლინტონის ვოიაჟი
A7

არარსებული ომის დამწყებნი
A10

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვევო ჯგუფი

განსხვავებული ოპოზიციური აზრი

მზადება უშიშროების საბჭოს რიგით მეორე გაფართოებული სხდომისთვის

დღეისთვის დაგეგმილ უშიშროების საბჭოს რიგით მეორე გაფართოებულ სხდომაზე არასაპარლამენტო ოპოზიციის მხოლოდ მცირე ნაწილი აპირებს მონაწილეობის მიღებას. სხვები "ხელისუფლების მორიგ პიარაქციას" არ ცნობენ. საპარლამენტო ოპოზიცია სხდომას სრულ მხარდაჭერას უცხადებს. მათ წინასწარ იციან, რა საკითხები უნდა წამოწიონ წინა პლანზე.

გუშინდელი დღისთვის უცნობი იყო პირველი გაფართოებული სხდომის მონაწილე პარტიის "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების" პოზიცია. პარტიის წევრები გერმანიაში მყოფი ლიდერის საბოლოო სიტყვას ელოდებოდნენ. ირაკლი ალასანია უცხოეთიდან კი დღეს დაბრუნდება.

უკვე ცნობილია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს. ისინი განაწყენებული არიან იმის გამო, რომ ხელისუფლებამ დანაპირები არ შეასრულა და პოლიტპატიმრები არ გაათავისუფლა. შეგახსენებთ, აგვისტოში, უშიშროების საბჭოს პირველ გაფართოებულ სხდომაზე, ხელისუფლება და ოპოზიცია შეთანხმდა, რომ ოპოზიცია ძალოვან მინისტრებს გადასცემდა პატიმრების სიას და ხელისუფლება აღნიშნულ საკითხზე იმუშავებდა. ამ ფაქტიდან ორი თვის შემდეგ არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლებამ არა თუ გაათავისუფლა პოლიტპატიმრები, არამედ მათ რიგებს ახალი, მისთვის არასასურველი ადამიანები შემატა.

გაგრძელება A2 გვერდზე

თურქეთმა და სომხეთმა დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს

ივა ბილაკაძე

10 ოქტომბერს ციურიხში, შვეიცარია, თურქეთის და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ახმეტ დავუთოღლუმ და ედუარდ ნალბანდიანმა ხელი მოაწერეს ორ ოქმს: "დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ" და "ორმხრივი ურთიერთობების განვითარების შესახებ". ორივე ეს დოკუმენტი მომზადდა შვეიცარიის შუამავლობითა და საერთაშორისო საზოგადოების - პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების სერიოზული ძალისხმევით. ისინი პარაფირებული იქნა უკვე აგვისტოს ბოლო რიცხვებში და გამოქვეყნდა ექვსკვირიანი "შიდაპოლიტიკური კონსულტაციებისთვის". დოკუმენტებს ორივე ქვეყანაში შეხვდა წინააღმდეგობა. უფრო თვალსაჩინო ეს სომხეთში იყო, მაგრამ როგორც ადრევე ვივარაუდეთ ამ განხილვას საკმაოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა ("24 საათი" დაწვრილებით წერდა ამ დოკუმენტების და მოლაპარაკებების მიმდინარეობის, აგრეთვე სომხეთის ოპოზიციისა და დიასპორის პროტესტის შესახებ).

გაგრძელება A8 გვერდზე

ნუ გაიღებთ მოწყალებას

სოფიო თოდუა

ჩვენი კანონმდებლობით მათხოვრობა არ ისჯება - შესაბამისად, რაც არ ისჯება, მისი აკრძალვა დაუშვებელია. დღე ისე არ გავა, მაღალი ტრიბუნიდან არ გვახარონ, რამდენად სწრაფად ვითარდება ჩვენი ქვეყანა; დღე ისე არ გავა, რამდენიმე მათხოვარს არ გადავეყაროთ ქუჩაში. მოწყალებას ითხოვენ სრულიად სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები: მოხუცები, ბავშვები, ქართველები, არაქართველები, ხეიბრები, საღ-სალამათები; მოწყალებას ითხოვენ ყველგან: ქუჩებში, ტრანსპორტში, ბანკებისა და მარკეტების შესასვლელებთან, სახლებშიც გვაკითხავენ, ოფისებშიც შემოივლიან. მე თუ მკითხავთ, კაცი, რომელიც ლუკმა-პურის საშოვნელად ქუჩაში დგას, ნებისმიერ შემთხვევაში საცოდავია, მაშინაც კი, თუ იცი, რომ ყავარჯნები და ინვალიდის ეტლი მხოლოდ ხალხის გულის ასაჩუყებლად სჭირდება. უხვად ჩამიყრია ხურდა ფული მიწაზე გართხმული, აკანკალებული ახალგაზრდა კაცისთვის და ეს კაცი საღამოს ავტობუსს დადევნებული დამინახავს. არაერთხელ შევსწრებივარ ასეთ სცენას: ერთ სიმპათიურ ბებოს, რომელიც ჩვენი ქუჩის ლამის ყველა მაცხოვრებელს ეცოდება, საღამობით გაპრიალებული მანქანა აკითხავს და ჩვენი ბებოც, მისხალ-მისხალ უთვლის რკინის ფულს ახალგაზრდა მამაკაცს. ვიცი, რომ მათხოვრობა ისეთივე ბიზნესია, როგორც, ვთქვათ, ქუჩაში ვაჭრობა - შესაძლოა, უფრო სარფიანიც, და რომ ყველა უბანი თუ მონაკვეთი კარგა ხნის გადანაწილებულია. მსმენია, რა ღირს დღეში ბავშვის დაქირავება მიწის ზემოთ და მიწის ქვემოთ - მეტროში. ერთი სიტყვით, ეს მთელი სამყაროა, სხვათა შორის, ჟურნალისტისთვის მეტად საინტერესო, თუმცა იქ შეღწევა არც ისე ადვილია.

გაგრძელება A2 გვერდზე

თბილისში 4-ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა

გუშინ ღამით, დაახლოებით 22.03 საათზე, თბილისში, რიხტერის შკალით, ოთხბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სეისმური მონიტორინგის ცენტრიდან აცნობეს. მიწისძვრის ეპიცენტრი თბილისში, საბურთალოს რაიონიდან 10 კილომეტრში დაფიქსირდა. მიწისძვრიდან ერთი საათის შემდეგ, თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურში ნგრევის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იყო შესული.

ცხინვალის რეგიონში სასაზღვრო ქალაქები აშენდება

მომდევნო ორი წლის განმავლობაში ცხინვალის რეგიონში ე. წ. სასაზღვრო ქალაქები აშენდება. განცხადება რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ალექსანდრ მურზინმა გააკეთა. მურზინის ცნობით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე უკვე შექმნილია ე. წ. სპეციალური დანაყოფები, რომლებიც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებისაგან დაკომპლექტდა. "ექსპრესნიუსის" ინფორმაციით, უახლოეს მომავალში საზღვრის დაცვის პროცესში რუსეთის უშიშროების სამსახური ჩაერთვება და ე. წ. მესაზღვრეებს მხოლოდ მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შემდეგ მიეცემათ მუშაობის უფლება. ალექსანდრ მურზინი არც იმას გამორიცხავს, რომ საზღვრის დაცვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობისგან შექმნილი ჯგუფები ჩაერთონ. რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის უფროსის მტკიცებით, ცხინვალის რეგიონში ვითარება იმდენად სტაბილურია, რომ მოსახლეობა საკუთარ სახლებს უბრუნდება.

ამერიკულ შეიარაღებულ ძალებში პრინციპი - "don´t ask-don´t tell" გაუქმდება

ამერიკულ შეიარაღებულ ძალებში გაუქმდება პრინციპი - "don't ask-don't tell", რომელიც ჰომოსექსუალებს ჯარში მსახურებას უკრძალავს, თუკი ისინი თავიანთ ორიენტაციას გამოააშკარავებენ. ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა. აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, ხელისუფლებამ პატრიოტებს ჯარში მსახურების შესაძლებლობა უნდა მისცეს. "ჩვენ უნდა მივესალმოთ მათ მზადყოფნას, დახმარება შემოგვთავაზონ, მით უმეტეს, მაშინ, როცა ჩვენ ორ ომში ვიბრძვით", - განაცხადა ობამამ. "ექსპრესნიუსის ცნობით" პრეზიდენტს არ დაუზუსტებია, როდის გაუქმდება პრინციპი „don't ask-don't tell“ და როგორ აეწყობა ამის შემდეგ ჯარში მსახურება. უფლებადამცველ ორგანიზაციებს თარიღის დაუზუსტებლობის ფაქტი არ მოეწონათ. პრინციპი „Don't ask-don't tell“ აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში 1993 წელს პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა დაამტკიცა. ამ პრინციპის თანახმად, ჰომოსექსუალებს უფლება აქვთ იმსახურონ ჯარში, თუ ისინი ორიენტაციის შესახებ არ ამჟღავნებენ. თავის მხრივ, სარდლობას უფლება არ აქვს, ორიენტაციის შესახებ ქვეშევრდომებს შეკითხვა დაუსვას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსება შეუმცირდება

მომავალი წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსების შემცირება იგეგმება.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მიმდინარე წელთან შედარებით მომავალ წელს საგარეო უწყების დაფინანსება 13 მილიონ 670 ათასი ლარით მცირდება. კერძოდ, მიმდინარე წელს საგარეო უწყების დაფინანსებისთვის 70, 670.0 ათასი ლარია განსაზღვრული, მომავალი წლისთვის კი 57, 000. 0 ათასი ლარით განსაზღვრა იგეგმება. მნიშვნელოვნად მცირდება საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დაფინანსება. კერძოდ, თუ წელს აპარატი 11, 503.8 ათასით ფინანსდება, მომავალი წლისთვის მისი დაფინანსება 8, 559. 1 ათასით იგეგმება. მცირდება საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფინანსებაც და წლევანდელი 54, 213. 3 ათასის ნაცვლად, მომავალ წელს ამისთვის 48, 360.9 ათასი ლარი იქნება გამოყოფილი. თანხები საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯების მუხლში, „ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, მომავალ წელს საერთოდ აღარ არის განსაზღვრული. წელს ეს მიმართულება გრანტებით, 4. 872.9 ათასით ფინანსდება.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა პარლამენტში ჯერ არ დაწყებულა. მისი განხილვის პროცედურებს პარლამენტი მას შემდეგ დაიწყებს, რაც აღმასრულებლები და კანონმდებლები მომავალი წლის საპროგნოზო მაჩვენებლებს ერთობლივად განსაზღვრავენ.

განსხვავებული ოპოზიციური აზრი

პირველი გვერდიდან

სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე დღეს დაგეგმილ უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს. „24 საათი“ პარტიის ერთ-ერთ წევრს, რომან კუსიანს დაუკავშირდა და ამ საკითხის შესახებ კომენტარი სთხოვა. „მოქალაქეთა“ კავშირის“ ყოფილმა წევრმა ჩვენთან საუბარი არ ისურვა და ბრძანა, რომ „**24 საათისა“ და „რუსთავი-2“-ისთვის კვირადღეს არ მუშაობს“.**

დღევანდელ სხდომას არ ცნობენ „კონსერვატორები“, ასევე „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ და „საქართველოს გზა“. „კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთ ლიდერ კახა კუკავას განცხადებით, ეს არის „**ხელისუფლების მორიგი პიარაქცია“,** რომელშიც „კონსერვატორები“ მონაწილეობას არ მიიღებენ. კუკავა წინასწარვე დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი სიტუაციით ისარგებლებს და კიდევ ერთ რეკლამას გაიკეთებს - პირდაპირ ეთერში სიტყვით გამოვა. „კონსერვატორების“ სურვილია უშიშროების საბჭოს რეალურ სხდომაში მიიღონ მონაწილეობა.

„ეროვნული ფორუმი", როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლებასთან რაიმე ტიპის მოლაპარაკებაზე უარს აცხადებს. აქედან გამომდინარე, მათთვის უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობა გაუმართლებელია.

უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომის იდეის ერთგულნი რჩებიან აგვისტოს სხდომის მონაწილეები - ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი და პარტია „თავისუფლება“. აკაკი ასათიანი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისაუბრებს. „თავისუფლების“ წარმომადგენელი სანდრო ბრეგაძე კი განმარტავს, რომ ისინი მართებულად მიიჩნევენ, ესწრებოდნენ სხდომას, სადაც ქვეყნის უსაფთხოების საკითხები განიხილება.

ერთადერთი სიახლე არასაპარლამენტო ოპოზიციის განწყობაში გახლავთ ის, რომ დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობას აპირებს ყოფილი პრემიერმინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის პარტია „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის". პარტიის წევრ პეტრე მამრაძის განცხადებით, ისინი ამ სხდომისგან ბევრს არაფერს ელოიან, თუმცა, მიუხედავად ამისა, შანსს ხელიდან არ გაუშვებენ და ამით ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას თავიანთ ძალისხმევას დაანახებენ. „**მიუხედავად იმისა, რომ წინა უშიშროების სხდომა ნულოვანი შედეგით დასრულდა, ჩვენ არ გვინდა გვითხრას საზოგადოებამ და საერთაშორისო თანამეგობრობამ, რომ ჩვენი პოზიციის გამოხატვის შანსი არ გამოვიყენეთ და არ ვიყავით პროდუქტიულები,"** - ასეთია მამრაძის პოზიცია.

საპარლამენტო ოპოზიცია დღევანდელი ღონისძიებისთვის აქტიურად ემზადებოდა. მათ ჯერ კიდევ გუშინ მომზადებული ჰქონდათ სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა.

ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე გია თორთლაძე ისეთი საკითხების წამოჭრას აპირებს, როგორიცაა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი პროვოკაციები და საფრთხეები.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, რუსული აგრესიული პოლიტიკა „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერისთვისაც საჭირბოროტო საკითხებია. აქედან გამომდინარე, დღევანდელ სხდომაზე გიორგი თარგამაძეს აუცილებლად ვიხილავთ.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ერთდროულად რამდენიმე საკითხს წამოწევს წინა პლანზე. დეპუტატისთვის ამჯერად ყველაზე მეტად აქტუალურია ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხები. ბაღათურია ისაუბრებს საგარეო პოლიტიკაზეც. იგი ასევე ყურადღებას გაამახვილებს ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ვითარებაზე და მოსალოდნელ არასასურველ შედეგებზე. ბაღათურია სპეციალურ პროექტსაც კი ამზადებს: **"ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია. სოციალური უსამართლობის გამო სერიოზული დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი. ამის თავიდან ასაცილებლად უნდა ვიმუშაოთ. პირადად მე სპეციალურ პროექტს წარვადგენ, რომელიც საარსებო მინიმუმთან და პენსიებთან იქნება დაკავშირებული."**

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლის, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის ინფორმაციით, უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე განიხილავენ ქვეყნის სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. იაკობაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი სერიოზული საკითხი „**ფართო განხილვის საგანი უნდა იყოს“.**

საკუთარი ინფორმაცია

ნუ გაიღებთ მოწყალებას

პირველი გვერდიდან

მაგრამ ერთია, როცა მოწყალებას შენთვის ითხოვ და მეორე, როცა სხვის სახელს ხარ ამოფარებული. ბოლო დროს თბილისში მათხოვრობის, უფრო სწორად კი თაღლითობის ახალი ფორმა დამკვიდრდა. ჯერ პატარა ბიჭებს აყიდინებდნენ ხალხმრავალ ადგილებში ხატებსა და საეკლესიო კალენდრებს, მერე შუა ხნის ქალბატონები დააყენეს ქუჩებში მკერდზე მიმაგრებული ბირკებით და ფულის შეგროვება დააწყებინეს, ბოლოს კი სახლებშიც მოგვაკითხეს და დაზეპირებული ტექსტი ჩამოგვირაკრაკეს: ამა და ამ ბავშვთა სახლს ვეხმარებითო (და მართლა ასახელებენ ბავშვთა სახლებს); ა, ბატონო, ჩვენი რეკვიზიტებიო (და საბანკო ანგარიშსაც აუცილებლად გიჩვენებენ); ეს ჩვენი მონმობებიო (და ლამინირებულ საბუთს გვიწვდიან); ეს კი გრაფა, სადაც თქვენი მონაცემები იწერებაო (და ჩვენც მორჩილად ვუთითებთ სახელს, გვარს, მისამართს და ასე შემდეგ).

ბავშვთა სახლებს, რამდენსაც გინდათ, იმდენს დაგისახლებთ, ოღონდ იმასაც დავძენ, რომ ეს წერილი სწორედ მათი თხოვნით იწერება. ამ ტიპის დანესებულებებს, სამწუხაროდ, მუდმივად აკლიათ ფული, ამის მიუხედავად, არც ერთი მათგანი არც ბავშვებს უშვებს სამათხოვროდ ქუჩებში და არც სხვებს სთხოვს მათი სახელით ფულის შეგროვებას. პირიქით, ის ინსტიტუციები ("ბავშვი და გარემო", "პირველი ნაბიჯი", "გრემის თემი"...), სადაც მზრუნველობას მოკლებული ბავშვები იმყოფებიან, იმიტომაც დაარსდა, რომ ბავშვი ქუჩაში არ მოხვდეს. რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, მათი გადამოწმება სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიგვინდია. ეს ყველაზე მოკლე გზაა იმ ადამიანებთან მისასვლელად, ვინც ამ აფიორის უკან დგას. სხვა შემთხვევაში მათი მოძებნა ჭირს, რადგან მისამართები, რომელსაც ვითომდა ბავშვთა სახლებზე მზრუნველი ადამიანები ასახელებენ (ისიც თუ ჩაეძიები), რასაკვირველია, მცდარია - მათ ადგილას დაგიხვდებათ ყველა, დასახელებული ადრესატის გარდა. ასევე იმოწმებენ გამომცემლობებს, სადაც ეს ხატები და საეკლესიო კალენდერები იბეჭდება, გამომცემლობები კი, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მით უფრო, რომ ამ მდარე პოლიგრაფიული ხარისხის პროდუქციას გამომცემლობა არც სჭირდება, ერთი ფერადი პრინტერიც ყოფნის. ვინ იცის, მათი ნაწილი, ვინც ქუჩაში დგას და ფულს აგროვებს, დარწმუნებულია, რომ ეს თანხა მართლა უსახლკარო ბავშვებს ხმარდება. მაშინ ისინიც ისეთივე მოტყუებულები გამოდიან, როგორც მე და თქვენ, ზოგჯერ სინდისის ქენჯნა რომ გვაწუხებს, თუ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს არ ვეხმარებით.

ახლა ჯერი თქვენზეა, გაიღებთ მოწყალებას თუ არა, ოღონდ ნებისმიერ შემთხვევაში, გახსოვდეთ, რომ ეს ფული არც ერთ იმ ბავშვთა სახლამდე არ აღწევს, რომელზედაც თქვენ, შესაძლოა, არც კი გსმენიათ, მაგრამ მათი დახმარება გინდათ. ისე კი, ვისაც მართლა შეუძლია ხელი გაუმართოს ამ ბავშვებს, არც "ბავშვი და გარემოს" მოძებნაა ძნელი, არც "პირველი ბაბიჯის" მისამართია გასაიდუმლოებული და, სხვათა შორის, "გრემის თემიც" არ არის შორს.

წმინდა ესტატეს სახელობის ტაძრის სასაწაული

ქართლის ულამაზეს სოფელ ერთაწმინდაში მე-13 საუკუნეში აგებული წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია დგას. სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსი მეუფე ანდრია მოგვითხრობს: "წმინდა ესტატე ერთ-ერთი დიდი წმინდანი იყო. წმინდა ესტატე პლაკედას და მისი ოჯახის მოწამეობა ქრისტესშობიდან II საუკუნით თარიღდება. სოფელ ერთაწმინდაში მისი სახელობის ტაძარი ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ნიმუშია. გადმოცემით, ამ ტაძარში ინახებოდა წმინდა დიდმოწამე, ესტატე პლაკედას წმინდა ნაწილი, რომელიც ახდენდა სასწაულებს. ერთ-ერთი ამ სასწაულთა შორის თვალის დაავადებების განკურნება იყო. სწორედ ამიტომ დღესაც ბევრი ადამიანი ესწრება დღესასწაულს. იგი 3 ოქტომბერს იმართება. წინათ, ამ დღესასწაულისათვის, მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიოდა."

სწორედ ამ ეკლესიის მახლობლად გაატარა ბავშვობა, ცნობილმა ოფთალმოლოგმა, კლინიკა „ოფთალმიჯის" ხელმძღვანელმა, გია ჯავრიშვილმა.

„ოფთალმიჯი, რომელიც დაარსდა 1996 წელს და აქვს 8 ფილიალი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, სახელგანთქმული კლინიკაა ქველმოქმედებით; მხოლოდ მოძრავი საოპერაციო ბლოკის ბაზაზე 7 ათასზე მეტი უფასო ოპერაციაა ჩატარებული.

კლინიკა „ოფთალმიჯის" დამფუძნებელი, პროფესორი გია ჯავრიშვილი: როდესაც შევიტყვე ჩემი სოფლის ეკლესიის სასწაულმოქმედების შესახებ, გადავწყვიტე ერთაწმინდაში ამეყვანა მოძრავი საოპერაციო ბლოკი და ახლომახლო სოფლების სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ჩამეტარებინა კატარაქტის უფასო ოპერაციები. იდეის შესახებ ვაცნობე საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მეორეს. უწმინდესისაგან მივიღე კურთხევა. შარშან ომის გამო ვერ შევძელით იდეის განხორციელება. წელს მოვახერხეთ და 32 პაციენტს დავუბრუნეთ თვალის ჩინი. პაციენტების გამოკვლევისას, შევეცადეთ გამოგვეყო დაზღვევის არმქონე მოსახლეობა, რადგან დაზღვეული პაციენტი მაინც ხვდება, როგორც ჩვენს, ასევე სხვა კლინიკებში.

მეუფე ანდრია: „**ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან სოფლის მოსახლეობას უჭირს რაიონულ ცენტრამდე მისვლაც კი, მოხუცებულობისა და უსახსრობის გამო. ბატონი გია თავისი მოძრავი კლინიკით ჩავიდა სოფელ ერთაწმინდაში და იქ 30-ზე მეტი უფასო ოპერაცია ჩაუტარა ადამიანებს. ჩვენ მადლიერნი ვართ მისი ქველმოქმედების, იმ სიკეთისათვის, რომელსაც ის აკეთებს".**

გია ჯავრიშვილი: „**ექიმისთვის იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როდესაც სახვევის ახსნის შემდეგ პაციენტი ხედავს. ჩვენ ვაპირებთ გავაგრძელოთ საქველმოქმედო აქციები, სულ მალე მოძრავი საოპერაციო ბლოკი წეროვანში, დევნილთა დასახლებაში გადაინაცვლებს. მოსახლეობას უფასო გამოკვლევები ჩაუტარდება. ვგეგმავთ საქველმოქმედო ფონდის ჩამოყალიბებას. ფონდი საზოგადო მოღვაწეებს მოემსახურება. მათ საჭიროების შემთხვევაში კატარაქტის ოპერაციები უფასოდ ჩაუტარდებათ".**

ერთაწმინდაში ოპერაციები 2 ოქტომბერს დასრულდა. 3 ოქტომბერი წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესიის დღეა, ყველა მადლიერი პაციენტი სასწაულმოქმედ ტაძარში სადღესასწაულო წირვას დაესწრო.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

შეხვედრა წარსულთან

ნოდარ ლადარია



მივცეთ გასაქანი ფანტაზიას! ■ ჩვენი რა მიდის!

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა, აშშ-ს პრეზიდენტს, ბარაკ ობამას რომელიმე მხატვრულ ფილმში ეპიზოდური როლი რომ შეესრულებინა? ■ აი, თუნდაც რასობრივი პრობლემებისადმი მიძღვნილი მწვავედ სოციალური ფილმი "სკინჰედი". მრავალვარსკვლავიანი სასტუმროს სადარბაზოდან გამოდის ახალგაზრდა წარმატებული შავკანიანი გმირი და ნეონაცისტი შვეიცარის შეურაცხმყოფელ გამოხტომას მშვიდად და ღირსეულად შეაგებებს თავის ღრმა და ხავერდოვან ბარიტონს: "როგორ მიბედავ! პორშე მოაყენე!"...

ან სხვა ტიპის სოციალური დრამა: "ლაკი მიტინგ" ■ ერაყიდან ჩამოსული თეთრი ინვალიდი ვეტერანისა და შავკანიანი ყმაწვილის დაბრკოლებებით აღსავსე სიყვარული სადმე აიდაჰოს მეკარტოფილეობის მეურნეობაში, მერილ სტრიპით ვეტერანის დედის როლში და საუცხოო საუნდტრეკით ("სკარლეტ ნეკლეს", ბრიტნი სპირსის შესრულებით)...

რა თქმა უნდა, "ოსკარზე" ლაპარაკი სრულიად ზედმეტია ■ მაშინვე გაუხსნიდნენ ვარსკვლავს შესაბამის ბულვარზე. არა, ნამდვილად უცნაური გრძნობაა გაკვირვება: თუ მოგიხელთა, არ დაგინდობს ■ ლაშა ბუღაძეს დაგამსგავსებს!

გულისხმიერი მკითხველი მიხვდებოდა, რაზეც მივანიშნებ: მაგალითად, იმაზე, რომ 2009 წელს ბარაკ ობამას მიანიჭეს ნობელის პრემია მშვიდობისათვის. ალალია მასზე! ■ რა ჰქნა მისმა წინამორბედმა ჯორჯ ბუშმა? არც არაფერი: ეზოში გამოვიდა, რაღაც ორი სიტყვა ჩაიბურდღუნა თავისთვის და მშვიდობაც ხუთ წუთში დამყარდა. დიდი ამბავი! ამას ხომ ყველა იზამდა. თქვენ ისა თქვით, ჯერ რომ ისრაელში ნეთანიაჰუს ირონიული ღიმილი უნდა აიტანო, მერე კიდევ მოსკოვში პუტინის ჩექმით ადუღებულმა ჩაიმ უნდა დაგიფუფქოს ენა! გაძლება ხომ გინდა!

ამბობენ, თავის დროზე ხორხე ლუის ბორხესს უთქვამს ნობელის პრემიის გამო: ეგ მე რად მინდა, ახალგაზრდებს მიეცით და სტიმულიც გაუჩნდებათ, თორემ მე ვინ ვარ, ყველამ ისედაც იცისო. არ ვიცი, რა სტიმული უნდა გაუჩნდეს ბარაკ ობამას გარდა იმისა, რომ პრემიის დიპლომი იმ ანტიკვარული ბალდახინიანი ლოგინის თავზე ჩამოჰკიდოს, რომელიც, ჯერ წელიწადიც კი არ შესრულებულა, რაც თეთრ სახლში შეიტანეს. ახლა უფრო ზოგადი საუბარი გვმართებს, დამსახურების დაფასებაზე მოგახსენებთ.

ჩვენ, როგორც ვიცით, სიკვდილის შემდეგაც არ ვუვიწყებთ ადამიანებს ერისათვის გაწეულ სამსახურს. ამიტომაც იყო, თბილისის ქვეთავმა, მამუკა ახვლედიანმა საქვეყნოდ განაცხადა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ალტერნატიული პანთეონი უნდა გაიხსნასო! დიახ, სწორედ ასე განაცხადა: "ალტერნატიული პანთეონი" ■ რადიოში მოვისმინე საკუთარი ყურით.

როგორც უკვე გასაგებია, საქმე გვაქვს ტერმინების არაადეკვატურ გამოყენებასთან. გავუგოთ, ბ-ნ ახვლედიანს, როცა მილიონნახევრიანი ქალაქის ქვეთავი ხარ, უბრალოდ "ახალი პანთეონის" თქმა არ შეგფერის. ამას კიდევ დავუბრუნდებით, რადგან აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვების უადგილო ხმარება ჩვენი მედიის ერთ-ერთი ძირითადი ავადმყოფობაა. აი, მაგალითებიც:

"გიგი უგულავა შეხვდა გრანდიოზულ პროექტებში მონაწილე ადამიანებს" (რუსთავი 2) ■ არც მეტი, არც ნაკლები. აბა, მილიონნახევრიანი ქალაქის თავს უბრალოდ მნიშვნელოვანი პროექტების მონაწილეებთან შეხვედრა ეკადრება? აი, გრანდიოზული კი სულ სხვაა. თანაც რა ფაქიზად არის ნათქვამი, რომ ამ პროექტების მონაწილენი ადამიანები არიან. ტაქტიანად მიგვანიშნებენ, რომ მილიონნახევრიანი ქალაქის თავი სხვა, უფრო მაღალი ხარისხის არსებაა, ალბათ მთლად ოლიმპიელი თუ არა, რომელიმე ალტერნატიული პანთეონის მკვიდრი მაინც.

"როგორც ორგანიზატორებისა და მთავარი მოქმედი პირის მონოლოგებიდან ჩანს ეს საღამო მხოლოდ საწყისია სხვა, ბევრად ხანგრძლივი დინამიკისა" ("24 საათი", 6 ოქტომბერი, სტატია "მუსიკა, რომელსაც ჯაზი ჰქვია") ■ ამის დამწერის წინაშე, როგორც ეტყობა, მთელი ანტიკური ტრაგედია დატრიალებულა. პროტაგონისტიც გვყავს და ქოროც. ამ "ხანგრძლივმა დინამიკამ" სულ მთლად მომხიბლა ■ რასაც შევესწარით, ხანმოკლე დინამიკა ყოფილა, ახლა კი ბევრად უფრო ხანგრძლივი გველის. გამაგრდით, მამულიშვილნო!

თქვენ კი, კოლეგებო, ოდნავ მოკრძალებულ ეპითეტებს უნდა შეეჩვიოთ, რადგან სახიფათოა მუდმივად ამგვარ ანტიკურ ექსტაზში ყოფნა ■ ემანდ ქრონიკული კათარსისი არ აიკიდოთ...

ახლა კი დავუბრუნდეთ პანთეონის საკითხს. არავის ეგონოს, რომ ქვეთავ ახვლედიანის მიერ ნათქვამში მხოლოდ სიტყვა "ალტერნატიულია" უადგილო. საქმე ისაა, რომ მთაწმინდაზე წმინდა დავით გარეჯელის ეკლესიის მახლობლად არავითარი პანთეონი არ არსებობს. ეს არის მონუმენტური სასაფლაო. მაგალითად, რომის ან მილანის მონუმენტურ სასაფლაოებს, სადაც, ერთი მხრივ, მსოფლიო კულტურისა და ისტორიისათვის არანაკლებად მნიშვნელოვანი ადამიანები არიან დაკრძალულნი, მეორე მხრივ კი, საფლავებზე აღმართული ძეგლებისა თუ ქანდაკებების საგრძნობი ნაწილი ბერნინისა და კანოვას საჭრეთელს ეკუთვნის, არავინ უწოდებს პანთეონს. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, განმარტების თანახმად, პანთეონი არის მონუმენტური შენობა. სხვა სიტყვებით, პანთეონში საფლავებს არ აწვიმს.

ამიტომაც პანთეონის აშენება არ არის ტერიტორიის მოზომვა და შიგ ერთი რკინა-ბეტონით აშენებული და თუნუქით გადახურული ეკლესიის ჩადგმა, როგორც ეს იმათ ჰგონიათ, ვისაც ქვეთავი ახვლედიანი ასახიერებს ■ ეს სწორედ რომ გრანდიოზული ნაგებობის აღმართვაა, რომლის ინტელექტუალური და მატერიალური ხარჯები სრულიად გაუმართლებელია. ნუ მკითხავთ, რატომ...

რაც შეეხება ახალ მონუმენტურ სასაფლაოს, ძველის დახურვის შემდეგ ყოველგვარი ალტერნატივა ისპობა. ალტერნატივა, მოგეხსენებათ, არჩევანის თავისუფლებას გულისხმობს. არჩევანის თავისუფლება კი ჩვენში იშვიათი ხილია...

აი, მაგალითად, ახალი ახირება: მეოთხე სავალდებულო გამოცდა ერთიან ეროვნულ გამოცდებში! თავი რომ დავანებოთ ყველა კონკრეტულ საკითხს, ამგვარი სიახლე სწორედ არჩევანის თავისუფლებას ამცირებს.

ადრე მეოთხე გამოცდა სავალდებულო არ ყოფილა, მისი დაწესება ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის სურვილზე იყო დამოკიდებული. ახლა კი სავალდებულო იქნება, ანუ მომავალი წლიდან ყველა აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ოთხი გამოცდა. აბიტურიენტი ირჩევს შემდეგი სიიდან: ქართული ლიტერატურა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია.

აქ თითქოს წინააღმდეგობაა: ერთი მხრივ, ვწერ, რომ მეოთხე გამოცდის დაწესება არჩევანს ამცირებს, მეორე მხრივ, ვამბობ, რომ აბიტურიენტი ირჩევს. მაგრამ არავითარი წინააღმდეგობა არ არის: აბიტურიენტი მისაღებ გამოცდას კი არ უნდა ირჩევდეს (ამ შემთხვევაში მკვეთრად მცირდება შესაძლებელ უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა, გამოცდებზე მიღებული შედეგებისაგან დამოუკიდებლად), არამედ პროფესიას, ანუ უმაღლეს სასწავლებელს.

როგორც ამბობენ, ცვლილების ინიციატორია ეროვნული გამოცდების ცენტრი... რას ნიშნავს ეს? ■ ადამიანური რესურსების ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწესებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა საერთო ეკონომიკური ინტერესების მქონე მყარი სოციალური ჯგუფი: გამსწორებლები. ეს ჯგუფი, რა თქმა უნდა, ვერც პოლიტიკურ პარტიას შექმნის და ვერც ქვეყანას გადაატრიალებს, მაგრამ სწორედ მეტნაკლებად უცვლელი შემადგენლობის წყალობით იმის უნარი კი შესწევს, საკუთარი ინტერესების ლობირება განახორციელოს.

არა, როინ მეტრეველის იდეალამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ თავსაც ნუ მოვიტყუებთ. უმჯობესია, დროულად გამოვიკვლიოთ გამსწორებელთა ეკონომიკური ინტერესები... თუმცა ამას დიდი კვლევა-ძიება ნამდვილად არ სჭირდება. გამსწორებელთა ეკონომიკური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი საფუძველი სასკოლო განათლების სისუსტეა. რატომ? ■ აბა, თუ სასკოლო განათლება გაძლიერდა, გამსწორებელი დამატებითი შემოსავლის ყველაზე აშკარა შესაძლებლობას კარგავს: მასთან არავინ მოვა ბავშვის მოსამზადებლად.

პრობლემის დიაქრონულ პლანში არსებობს წარსულის მეხსიერება: საგამოცდო ნაშრომების გამსწორებელი (მისაღები კომისიის თავმჯდომარე და ა. შ.) ყველაზე კარგი რეპეტიტორია ■ გარდა კომპეტენციისა, რომელსაც სწორედ რომ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, მას, ასე ვთქვათ, "ხელის წაკვრის" უნარიც აქვს. დღევანდელი სისტემის შემთხვევაში ეს "ხელის წაკვრა" მაინცდამაინც ადვილი შესასრულებელი არ არის, მაგრამ თუ გამსწორებელთა ლობირება შემდეგშიც იმავე ტემპებით განვითარდა, არაფერია გამორიცხული.

სინქრონულ პლანში კი არსებობს, ასე ვთქვათ, გეოგრაფიული ელიტარიზმი: რაც უფრო ახლოს იქნება ესა თუ ის აბიტურიენტი რომელიმე გამსწორებლის ადგილსამყოფელთან, მით უფრო უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება იგი სხვებთან შედარებით. დაბრუნდება ის სანატრელი მდგომარეობა, როცა ვაკელებს მეტი შანსი ექნებათ, ვიდრე გლდანელებს და კიდევ უფრო მეტი შანსი, ვიდრე ქვემოსიმონეთელებს.

იქნებ ვინმეს ეგონება, რომ აპოკალიფსურ სურათს ვხატავ? სულაც არა: აშკარად ვხედავთ განათლების რეფორმის შედეგად მიღებული ვითარების კორუფციას... რახან ტერმინოლოგიის სიზუსტეზე ვლაპარაკობდით, ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ კორუფცია მარტო ქრთამის აღებას კი არ ნიშნავს ■ სიტყვის პირველი მნიშვნელობა არის გახრწნა, დაშლა, გაფუჭება.

სისტემას აფუჭებენ. აფუჭებენ სწორედ ქართული ხერხით: გამოიყოფა მცირე ჯგუფი, რომელიც ცდილობს თავისი ინტერესის გატანას. წლების განმავლობაში სწორედ ეს იყო ქართული პოლიტიკა, მას არ დაუკარგავს ძალა, არც ჩასძინებია ■ უბრალოდ, მცირე ხნით მიიჩქმალა ძლიერი პოლიტიკური ნების ფონზე. მაგრამ ნებამ დაკარგა ძალა, მძლავრი ტალღა უძრავმა, მაგრამ საოცრად მოქნილმა და დენადმა ქვიშამ შეაჩერა, შეისრუტა, შთანთქა...

მე მჯერა, რომ ამერიკის ისტორიაში ბოლოდროინდელი შემთხვევა მხოლოდ ერთი ღიმილისმომგვრელი ფრაგმენტი იქნება. მე მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს ისტორიაშიც არის ჯანსაღი ძარღვი, რომელიც არ მისცემს წარსულის ინერციას დამკვიდრების საშუალებას. ეს ჯანსაღი ძარღვი, თუმც კი სუსტი, მაინც ყოველთვის არსებობდა ჩვენში, თუმც კი ისტორიული მეხსიერება ნაკლებად სწყალობდა. სწორედ ამ ჯანსაღმა გრძნობამ გამოათქმევინა 1953 წელს ერთ ტყიბულელ ბიჭს მარტივი ლექსი:

დედამ დამალევინა ჩაი ლიმონიანი,

ძია სტალინს მიეწიოს ძია მიქოიანი.

და თუ ჩვენ ამაზე უფრო მწვავედ 1956 წლის დემონსტრაციის სულისკვეთება გვახსოვს, მისი განმეორებისა გვეშინია, ეს სწორედ ის სულმოკლეობა და სიმხდალეა, რომლის ნაყოფიერ ნიადაგზე იბადება და ყვავის დღევანდელ გამსწორებელთა დამღუპველი თავდაჯერებულობა.

პრეზიდენტ ობამას მთავარი ამოცანა

გიორგი ნიკოლაიშვილი

პარასკევს პრეზიდენტი ობამა ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ეს არის მისი საერთაშორისო პოპულარობისა და აღიარების ნათელი დადასტურება, მაგრამ პრეზიდენტ ობამას მთავარ ამოცანად ამერიკული ეკონომიკის მოდერნიზაცია რჩება, რათა მან შეინარჩუნოს და განიმტკიცოს თავისი ადგილი გლობალურ ეკონომიკაში. ამერიკა ობამას პრეზიდენტობას შეაფასებს იმის მიხედვით, თუ როგორ გადაჭრის ის ამ ამოცანას.

მართალია ობამას ადმინისტრაციამ ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ამერიკული ეკონომიკის წინასჰე კიდევ ძალიან ბევრი პრობლემაა, რაც გასულმა კვირამ თვალნათლივ აჩვენა.

ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის დეფიციტი 2009 ფისკალურ წელს, რომელიც დამთავრდა 30 სექტემბერს, შეადგენს 1,4 ტრილიონ დოლარს. ბიუჯეტის დეფიციტი მნიშვნელოვნად აღემატება მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს და სარეკორდოა ამერიკის ისტორიაში, თუმცა ეს მონაცემი, მოსალოდნელზე უფრო ნაკლები აღმოჩნდა. ასეთი დიდი დეფიციტი დაკავშირებულია ეკონომიკურ კრიზისთან, რამაც გამოიწვია საგადასახადო შემოსავლების შემცირება, დამატებითი ხარჯები ფინანსური სისტემის გადასარჩენად და ეკონომიკის სტიმულირებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ კრიზისი დასასრულს უახლოვდება, მისი შედეგები ჯერ კიდევ ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ამერიკელთა ცხოვრებაზე. საცალო ვაჭრობის ეროვნული ფედერაციის (National Retail Federation) განცხადებით უმუშევრობის მაღალი დონე და ამერიკელთა შემცირებული შემოსავალი ნოემბერ-დეკემბერში საცალო ვაჭრობის მოცულობის შემცირებას განაპირობებს. წლის ეს პერიოდი, რომელიც ცნობილია, როგორც არდადეგების სეზონი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის ვაჭრობისთვის. ამ დროს ამერიკელები განსაკუთრებით ბევრს ხარჯავენ. შესაბამისად, სავაჭრო კომპანიების წლიური ბრუნვისა და მოგების 50% ამ პერიოდზე მოდის. ამიტომ, ვაჭრობის მოცულობის შემცირება არდადეგების სეზონში ძალიან მტკივნეულია კომპანიებისთვის. ფედერაციის პროგნოზით, ეს შემცირება დაახლოებით 437.6 მილიარდი დოლარი ანუ 1% იქნება. ეს მონაცემი ნაკლებია ვიდრე წინა წელს, როდესაც შემცირების მაჩვენებელი 3.4% იყო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება კომერციული ბანკების დახურვის პროცესი. დახურული ბანკების რაოდენობამ 2009 წელს 98-ს მიაღწია. ბანკების დახურვის პროცესი გამოწვეულია ფინანსური კრიზისის შედეგებით და, აგრეთვე, ფინანსური რეგულირების გამკაცრებით.

ცნობილი გახდა, რომ "ჯენერალ მოტორსმა" და ჩინურმა კომპანიამ Sichuan Tengzhong Heavy Industrial Machinery Co., მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც "ჯენერალ მოტორსი" მზადაა ჩინელებს ერთ-ერთი თავისი ყველაზე პოპულარული ბრენდი "ჰამერი" (Hummer) მიჰყიდოს. ცნობილია, რომ წელს "ჯენერალ მოტორსმა" 8,193 "ჰამერი" გაყიდა, რაც შარშანდელი წლის შესაბამის მაჩვენებელზე 64%-ით ნაკლებია. შეგახსენებთ, რომ "ჯენერალ მოტორსი" ამ ზაფხულს უკვე გათავისუფლდა სამი ბრენდისაგან, რომელთა შორისაც იყო "პონტიაკი".

ეს და სხვა მსგავსი პრობლემა, რომელიც მრავლადაა ამერიკის წინაშე, მოითხოვს ამერიკის ადმინისტრაციის დიდ ძალისხმევას და პრეზიდენტი ობამაც წინა კვირას ძალიან აქტიური იყო. მისი ადმინისტრაციის განცხადებით, ფედერალური ანტიკრიზისული პროგრამების დახმარებით მძიმე ფინანსური მდგომარეობა გამოუსწორდა 500 000 სახლის მფლობელს, რომელთაც იპოთეკური კრედიტი აქვთ აღებული და კრიზისის შედეგად გაკოტრება ემუქრებოდათ. განცხადება გაკეთდა კრიტიკის საპასუხოდ, რომ ადმინისტრაცია სწრაფად და ეფექტურად არ ეხმარება ამ ადამიანებს.

პრეზიდენტმა ობამამ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ფედერალურმა უწყებებმა უნდა განახორციელონ ქმედებები, რომელთა მიზანია შემცირდეს გამონაბოლქვი გაზების რაოდენობა მათი დაწესებულებებიდან, მანქანებიდან და ა.შ. ამ ნაბიჯით მთავრობამ უნდა მისცეს მაგალითი ბიზნესს და მოქალაქეებს, რათა ეფექტური გახდეს ბრძოლა სითბური ეფექტის და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ.

პარასკევს პრეზიდენტი ობამა შეეხო ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემას - ფინანსური სისტემის რეგულირების პრობლემებს. ეს გამოსვლა მან გამოიყენა რათა მკაცრად გაეკრიტიკებინა ოპონენტები, რომლებიც გამოდიან მომხმარებელთა დაცვის სააგენტოს (consumer protection agency) შექმნის წინააღმდეგ. სააგენტო უნდა გახდეს ახალი მარეგულირებელი ორგანო ფინანსურ სფეროში. ობამას სიტყვებით, ამერიკის ფინანსური ელიტა იყენებს მთელ თავის გავლენას კონგრესზე, რათა შეინარჩუნოს სტატუს-კვო, რომელიც აძლევს მას მოგების მაქსიმალიზაციის საშუალებას უბრალო ამერიკელების ხარჯზე. "სწორედ ამიტომ გვჭირდება ჩვენ მომხმარებელთა ფინანსური დაცვის სააგენტო, რომელიც იქნება მშრომელი ამერიკელების და არა დიდი ბანკებისა და ფინანსური ფირმების მხარეზე" - განაცხადა პრეზიდენტმა ობამამ. პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგეა ამერიკის სავაჭრო პალატა (The Chamber of Commerce). მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის აზრით, მომხმარებლისათვის არაფრით არ იქნება კარგი უზარმაზარი ფედერალური სააგენტოს შექმნა, რომელსაც ექნება უპრეცედენტო გავლენა ბიზნესის უზარმაზარ სეგმენტზე. სხვა, გაცილებით ზომიერი კრიტიკოსების აზრით, აუცილებელია რეგულირების სრულყოფა ფინანსურ სფეროში, რისთვისაც საჭიროა ამ სფეროს პრობლემების უფრო ღრმა გააზრება და ამის შედეგად, პრეზიდენტის პროექტის სრულყოფა.

წინა კვირა უაღრესად წარმატებული გამოდგა ფინანსური ბაზრებისთვის. თითქმის მთელი კვირა, მთელ მსოფლიოში იზრდებოდა ფასები აქციებზე. წინა კვირის პესიმისტური ამბების შემდეგ, ინვესტორებმა საკმაოდ სწრაფად დაიბრუნეს ოპტიმიზმი. ფასები იზრდებოდა საქონელზეც, მათ შორის ნავთობზეც. თუმცა ეს ზრდა საკმაოდ მოკრძალებული იყო.

კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სუსტი დოლარი. არაოფიციალური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ რუსეთი, ჩინეთი, იაპონია და საფრანგეთი სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ერთად აწარმოებენ მოლაპარაკებას, რომლის მიზანიც არის უახლოეს ათწლეულში ჩაანაცვალოს დოლარი ნავთობით ვაჭრობაში სავალუტო კალათით. სავალუტო კალათა უნდა შედგებოდეს ევროთი, იუანით, იენით, ოქროთი და ახალი ერთიანი ვალუტით, რომელსაც შექმნიან სპარსეთის ყურის ქვეყნები. იმ შემთხვევაში თუ ეს მოხდება, დოლარს, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტას, მიადგება დიდი დარტყმა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პროექტი უაღრესად რთული გასახორციელებელია სუფთა ტექნიკურად, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა უფრო მნიშვნელოვან მიზეზებზე. მიუხედავად ამისა, ეს უკვე სერიოზული შეტევაა დოლარის პოზიციებზე მსოფლიოში და კიდევ ერთი დიდი პრობლემა ამერიკის ადმინისტრაციისათვის.

წინა კვირაში რუსეთი იყო კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბის ცენტრში. "გაზპრომმა" განაახლა გაზის შესყიდვა თურქმენეთიდან, რომლის შეწყვეტის მიზეზად ამა წლის აპრილში დასახელებული იყო ავარია გაზსადენზე. თურქმენეთის გაზს "გაზპრომი" ყიდდა უკრაინაში. ივნისში "გაზპრომმა" შესთავაზა თურქმენეთს ან შეემცირებინა გაზის მოცულობა, ან შეემცირებინა მასზე ფასი, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ უკრაინამ შეამცირა შესყიდვები. საერთოდ, მსოფლიო კრიზისის დაწყებისა და უკრაინასთან გაზის კონფლიქტის შემდეგ, გაზპრომს, ეტყობა აქვს პრობლემები ევროპაში გაზის რეალიზაციასთან დაკავშირებით.

"ციუკოსის" ამერიკული შვილობილი კომპანია "ციუკოს ინტერნეიშნლი" მოითხოვს რუსეთის მთავრობისგან 100 მილიარდ დოლარს კომპანიის აქციონერების შელახული ინტერესების ასანაზღაურებლად. სარჩელი განიხილება სტრასბურში. პირველი მოსმენა იქნება 19 ნოემბერს. ექსპერტების აზრით განხილვა გაგრძელდება დიდხანს. თუმცა სარჩელის დაკმაყოფილება სრული მოცულობით ნაკლებ მოსალოდნელია, სასამართლო პროცესის შედეგები ალბათ შეუქმნის საკმაო პრობლემებს, მათ შორის ფინანსურსაც, რუსეთის მთავრობას.

განსხვავებით მსოფლიოს ბევრი ქვეყნისაგან, სადაც სათამაშო ბიზნესი განიცდის მწვავე კრიზისს, მაკაოში ამ ბიზნესის შემოსავალი იზრდება უაღრესად დიდი ტემპებით. სათამაშო ბიზნესის ორი დიდი ოპერატორის, "ვინ რესორთის" (Wynn Resorts) და "ლას-ვეგას სენდსის" (Las Vegas Sands), რომლებიც მდებარეობენ ლას-ვეგასში, შემოსავლების ორი მესამედი მოდის სწორედ მაკაოზე. ორივე კომპანია აპირებს განათავსოს თავისი აზიური შვილობილი კომპანიის აქციები ჰონკონგში.

„სახალხო ბანკი“ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამას აგრძელებს

დღეიდან „სახალხო ბანკი“ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამის ახალ ეტაპს იწყებს. პროგრამის ფარგლებში „სახალხო ბანკის“ სახელფასო პროგრამაში ჩართული სკოლის პედაგოგები შეძლებენ ყოველთვიური ხელფასის სამმაგი ოდენობის, ერთ წლამდე ვადით სესხის მიღებას. აღსანიშნავია, რომ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამა ბანკმა ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ პროგრამით გათვალისწინებული სესხები მასიურად არ გაიცემოდა. დღესდღეობით საქართველოში 2,044 საჯარო სკოლაა, აქედან 1,573 სკოლა „სახალხო ბანკის“ სახელფასო პროგრამაშია ჩართული. ამჟამად „სახალხო ბანკში“ აღნიშნული პროგრამისთვის 4 მილიონ ლარამდე საკრედიტო პორტფელია მობილიზებული, რომელიც სავარაუდოდ 20 მილიონამდე გაიზრდება.

„მოხარული ვარ, რომ „სახალხო ბანკმა“ პედაგოგების დაკრედიტების პროგრამა განაახლა. ამ პროგრამის მეშვეობით ჩვენი ბანკის სახელფასო პროგრამაში ჩართული დაახლოებით 30,000 მასწავლებელი მთელს საქართველოში შეძლებს სესხის მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ სხვა საჯარო სკოლებიც ჩაერთვებიან „სახალხო ბანკის“ სახელფასო პროგრამაში, მათთან მომუშავე პედაგოგებიც შეძლებენ ისარგებლონ სპეციალურად მასწავლებლებისთვის განკუთვნილი ამ სესხებით.“ - აღნიშნა „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ.

საკუთარი ინფორმაცია

სახალხო ბანკის ვადიანი ანაბრების აქციის IV ეტაპის გამარჯვებულები

2009 წლის 30 სექტემბერს, 19:10 საათზე, ტელეკომპანია „იმედი“-ს პირდაპირ ეთერში გაიმართა სახალხო ბანკის ვადიანი ანაბრების აქციის რიგით IV გათამაშება.

	მეანაბრე	ხელშეკრულების საიდენტიფიკაციო ნომერი	პრიზი
1	ხობუა კახა	777-5239	მაცივარი
2	ომარაშვილი ჯემალი	415-607	ციფრული ფოტოაპარატი
3	კოვზირიძე მაკა	480-10098	ტელევიზორი
4	კოვზირიძე მაკა	480-10098	სარეცხი მანქანა
5	დევდარიანი იოსები	480-10306	მტვერსასრუტი
6	ალავერდაშვილი ტატიანა	405-913	მობილური ტელეფონი
7	სიმონიშვილი თამაზი	480-8285	გაზქურა
8	თიკანაშვილი ნელი	437-1146	მუსიკალური ცენტრი
9	ქასაბიშვილი ტრისტანი	463-786	დივიდი
10	სამნიაშვილი გივი	402-6989	მიკროტალღური ღუმელი
11	ოსეფაშვილი ავთანდილი	480-11797	ბინა

პირდაპირ ეთერში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბანკის წარმომადგენლისგან შემდგარი კომისიის თანდასწრებით, გამომვლინდნენ გამარჯვებულები:

„კავკასუს ონლაინი“ აბონენტებს კარგავს „გაერთიანებული ტელეკომი„ კი ლიბერალურ სტრატეგიაზე გადადის

მაშინ, როცა ინტერნეტი აღარ არის ფუფუნების საგანი, მომხმარებელი მუდმივ მოლოდინშია, რომ ამ სერვისისადმი ხელმისაწვდომობა დაკარგოს. "კავკასუს ონლაინის" ათასობით აბონენტი ინტერნეტის გარეშეა დარჩენილი. გადაუხდელობის გამო "კავკასუსმა" სექტემბერში საკმაოდ სოლიდური ჯარიმები შემოიღო მომხმარებლებისთვის. მაშინ რატომ უკვირს, ვალის გამო რომ მის მიმართაც იყენებენ სანქციებს სხვა კომპანიები. აღმოჩნდა რომ პროვაიდერს კვლავ არ აქვს ხელშეკრულება გაფორმებული იმ კომპანიასთან, რომლის აბონენტებსაც ემსახურება. გააჩნია დავალიანება, რომელსაც ადრე არ აღიარებდა და ეხლა უკვე აღიარებს. მისი აპარატურა დენის გარეშეა დარჩენილი და შესაბამისად აბონენტები ინტერნეტს ვერ იღებენ.

საქართველოს ინტერნეტ ბაზრის უმეტეს ნაწილს ამჟამად ორი კომპანია "კავკასუს ონლაინი" და "გაერთიანებული ტელეკომი" ინაწილებენ. აღნიშნული პროვაიდერები ინტერნეტმომსახურებასაც შესაბამისად ყველაზე მეტ აბონენტს უწევენ. ბაზრის გაფართოებისთვის ბრძოლა ძირითადად ამ ორ კონკურენტს შორის მიმდინარეობს. დღეისათვის "კავკაზუს ონლაინი" მომხმარებლების 49,8%-ს აწვდის ინტერნეტს, აბონენტების 27%-მდე კი "გაერთიანებული ტელეკომის" ინტერნეტ-სერვისით სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ კაუკაზუსი ინტერნეტ-ბაზრის თითქმის ერთპიროვნული მმართველი იყო და მისი წილი 85%-საც აღემატებოდა. თუმცა, მისი ჰეგემონია "გაერთიანებულმა ტელეკომმა" საგრძნობლად შეზღუდა. ინტერნეტ-ბაზრის წილის წართმევა "გაერთიანებულმა ტელეკომმა" ნაწილობრივ იაფი მომსახურების ხარჯზე მოახერხა. ტენდენცია ისეთია, რომ კავკაზუსი ნელ-ნელა კარგავს აბონენტებს. ამას ხელი სერვისის საფასურის გადახდის ახალ სისტემაზე გადასვლამაც შეუწყო.

"კავკაზუს ონლაინი" აბონენტებს DSL-ის ოთხ პაკეტს სთავაზობს. "გაერთიანებული ტელეკომს" ინტერნეტ-სერვისი 6 პაკეტად აქვს დაყოფილი. ცხადია თითოეული ამ პაკეტის დახასიათება და მათი ერთმანეთთან შედარება შორს წაგვიყვანს. ამიტომ შევეცდებით ლიდერი კომპანიების ის პაკეტი შევადაროთ ერთმანეთს, რომელიც მომხმარებლები უფრო ხშირად ირჩევენ და რომელიც ფასით ყველაზე ოპტიმალურადაა მიჩნეული.

ასეთი კავკაზუსის 50-ლარიანი ეკონომ-პაკეტია, რომლის სიჩქარე წამში 3 მეგაბიტია. ანალოგიური სიჩქარის პაკეტი გაერთიანებულ ტელეკომსაც აქვს, რომელსაც ეკონომ-პაკეტი ეწოდება და, რომელიც კონკურენტზე იაფია - 20 დოლარი ღირს. სწორედ ფასი არის ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც ბევრმა აბონენტმა "გაერთიანებული ტელეკომის" ინტერნეტი ამჯობინა.

სექტემბერში "კავკაზუს ონლაინით" უკმაყოფილო მომხმარებლების რიცხვს ახალი ტალღა შეუერთდა- მათ ამჯერად "კავკაზუს ონლაინის" გადახდის ახალი სისტემის შემოღება გააპროტესტეს. კავკაზუსის სერვისის მიწოდებასა და მომსახურების საფასურის გადახდის სისტემაში ცვლილებები 15 სექტემბრიდან ამოქმედდა. გადახდის გამკაცრებული სისტემით კომპანია აბონენტს ინტერნეტს დავალიანების წარმოქმნიდან მეორე დღესვე უთიშავს და მას ყოველ გათიშულ დღეზე ჯარიმის სახით 50 თეთრი არიცხავს. აბონენტს სერვისის მიწოდება მხოლოდ დავალიანების და შემდეგი თვის სააბონენტო გადასახადის სრულად გადახდის შემთხვევაში აღუდგება. ინტერნეტს კავკაზუსი მხოლოდ მას შემდეგ ჩაურთავს აბონენტს, რაც ვალსაც დაფარავს და ერთი თვის საფასურს წინასწარ გადაიხდის. ხოლო თუ გათიშვის შემდეგ გადახდილი თანხა ვერ ფარავს დავალიანებას და შემდეგი თვის მთლიან სააბონენტოს, გადახდილი თანხიდან გაიქვითება დავალიანება, ნაშთი აბონენტის ავანსზე დაჯდება და კომპანია დაელოდება მთლიანი თვის სააბონენტო გადასახადამდე შევსებას, სერვისი რომ ჩართოს. დავალიანების გათიშვიდან 10 დღის გასვლის შემდეგ იწყება აბონენტის გაუქმების პროცედურა, რომელიც მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ 20 დღე გრძელდება. გათიშულ აბონენტს სერვისი ხელახლა მხოლოდ დავალიანების გადახის შემდეგ ჩაერთვება.

"კავკასუსმა" კრედიტის პირობები შეცვალა. თუ კრედიტს არ დავფარავ 10 დღის განმავლობაში, რომელიც აღებული მაქვს, იძულებული ვიქნები არამარტო კრედიტი, არამედ 1 თვის სააბონენტო სრულად გადავიხადო წინასწარ. თანაც, ამაზე შეტყობინება არ მიმიღია. 15 სექტემბერს ამომეწურა კრედიტი და გადავიხადე 35 ლარი, ინტერნეტ არ ჩამირთეს. ოპერატორმა მითხრა 64 ლარი კიდევ გადასახდელი გაქვთო. მოკლედ, პირობები "გაგვიუმჯობესდა"-განგვიცხადა "კავკასუს ონლაინის" აბონენტმა გია მაჩიტიძემ

აბონენტმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა, გვითხრა რომ "კავკასუსის" დავალიანება 85 ლარი აქვს და არაფერის გადახდასაც არ აპირებს. 10 დღე რომ გავა გადავა სხვა პროვაიდერზე.

"70 ლარიანი პაკეტი მაქვს. პირველ დღეს 35 ლარი რომ გადავიხადე ოპერატორმა მითხრა 63 ლარი და რაღაცა თეთრებია გადასახდელიო. ანუ ჯამში მომიწია 98 ლარის გადახდა. ძალიან დაამძიმა პირობები "კავკასუსმა. ზაფხულში ბევრმა დროებით გათიშა ალბათ, რადგან ქალაქიდან გადიოდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს დაესაჯათ საბრალო მომხმარებლები. როცა გათიშული გაქვს მაინც იხდი დღეში 50 თეთრს სერვისის შენახვისთვის." - გვითხრა ინგა მაისურაძემ

"მე კრედიტი არ მქონდა აღებული, უბრალოდ გადახდა დავაგვიანე ერთი დღით. გადავიხადე ნახევარი იმ დღესვე და ველოდე 3 დღე და მახარეს ახალი პირობების შესახებ, რაც მთავარია 3 დღე რომ რიგში ვიდექი და ოპერატორთან დაკავშირებას ვცდილობდი, ჩემს დეპოზიტს 50 თეთრი აკლდებოდა. ასე, რომ ჩვენ ვიხდით იმ სერვისისთვისაც, რომელსაც არ ვიღებთ. ისე კარგია კრედიტის აღების უფლებას რომ გვაძლევენ და პირდაპირ არ გვთიშავენ" - ამბობს ოთო არაბული

"კრედიტი მქონდა ჩართული, ამომეწურა 3 დღის წინ და გამეთიშა. წავედი და გადავიხადე 30 ლარი. არ ჩაირთო. მერე კიდევ 5 ლარი დავამატე, არ ჩაირთო. დავრეკე და მითხრეს რომ ცვლილებებია და 63 ლარის გადახდა მომიწია. უარესობისკენ შეიცვალა პირობები, თან კონსპირაციულად"- გვითხრა თამუნა ნოდიამ

გენადი როსტომაული ("კავკაზუს ონლაინის" კომერციული დირექტორი): გადახდის პირობები იმის გამო შევცვალეთ, რომ მომხმარებელთა ნაწილი გადახდის რეჟიმს არღვევდა - ერთ-ორი დღით რთავდა ინტერნეტს, ჩვენ კი "გაერთიანებული ტელეკომისთვის" მისი ინფრასტრუქტურით სარგებლობისთვის თითო აბონენტზე მთელი თვის საფასურის გადახდა გვიწევდა. ეს არ არის ჯარიმა, ეს არის სერვისის შენარჩუნების ტარიფი. ვინც იხდიდა სააბონენტო გადასახადს, მათთვის არაფერი შეცვლილა. იმის ნაცვლად, რომ აბონენტს საფასურით ლავირების საშუალება ჰქონოდა, ახლა სერვისის შენარჩუნების ტარიფს იხდის. ეს ცვლილება მომხმარებლების 1-2%-ს შეეხო, ამიტომ ჩვენი აბონენტების კონკურენტის ქსელში გადართვის ტენდენცია შეუმჩნეველია.

- თუ ასეთ მცირე რაოდენობის აბონენტებზე იყო საუბარი, გადახდის სისტემა რატომ გაამკაცრეთ?

- იმიტომ, რომ არ იყო გამართული. ფინანსურად გაუმართავი სისიტემის შეცვლა საჭირო იყო.

საჯარიმო სანქციების შემოღებას არ აპირებს "გაერთიანებული ტელეკომი". კომპანია ოქტომბრიდან გადახდის უფრო მოქნილ სისტემაზე გადავიდა, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს შეუძლია ინტერნეტ-სერვისი ერთი დღით ან ერთი კვირით შეაჩეროს და ამ შემთხვევაში დადგენილი ტარიფი დღეების მიხედვით დაერიცხება. ერთი თვის ინტერნეტის შეჩერება 2 დოლარი ღირს. თუ დღეების მიხედვით სურს შეჩერება, მხოლოდ დღიურად დაერიცხება საფასური აბონენტს.

ნიკა ჭიაურელი("გაერთიანებული ტელეკომის" ინტერნეტ-პროექტების დირექტორი**): "** ტარიფები საკმაოდ ხელმისაწვდომია. აბონენტს სააბონენტო გადასახადი ყოველი თვის ბოლოს ერიცხება. მას საშუალება აქვს გადაიხადოს საფასური თვის პირველ ნახევარში სატელეფონო გადასახადთან ერთად. მას არ ეთიშება, არამედ ეზღუდება სერვისი მომდევნო თვის მეორე ნახევარში და თუ ამ პერიოდშიც არ გადაიხადა, ინტერნეტი ამის შემდეგ გაეთიშება. აბონენტებს ჯარიმები არ ერიცხებათ. თუმცა, საფასო პოლიტიკა ყოველთვის გადახედვადია. სერვისი იაფდება. ბაზარი იქით მიდის, რომ მომხმარებელი იგივე ფასად თანდათან უფრო მეტ სერვისს იღებს. არის მიმართულებები, რომელიც ჯერ აუთვისებელია. ერთ-ერთი მიმართულება არის ჩვენი რეგიონული ბაზრის გაზრდა, რაზეც ყოველდღიურად ვმუშაობთ და ვხედავთ ამ ბაზრის პერსპექტივას. ბაზარზე წილის შენარჩუნებისა და უფრო გაზრდისთვის ვაპირებთ დამატებითი სერვისების შეთავაზებას. ახლახანს ჩვენს მომხმარებელს შევთავაზეთ აი-პი-ტივი -ინტერნეტ ტელევიზია. ეს გარდა იმისა, რომ ჩვენს ინტერნეტ-მომხმარებლების რიცხვს გაზრდის, არსებულს უფრო მეტ კომფორტს შევუქმნით და განახლებულ, ნოვატორულ სერვისებს მუდმივად შევთავაზებთ. განხორციელდა ქსელის მოდერნიზება, რაშიც დიდი მოცულობის თანხები ჩავდეთ. ამჟამად აბონენტთა მომსახურების არეალი საშუალოდ 2,5 კილომეტრს მოიცავს. ამისათვის დისლოკაციის ადგილი შევუცვალეთ აპარატურას და აბონენტებთან უფრო ახლოს მივედით. დღეს ოპერატორსა და აბონენტს შორის მანძილი 2,5 კილომეტრიდან 400-600 მეტრამდე შემცირდა, რამაც ინტერნეტის მაღალი ხარისხი, სტაბილურობა და სიჩქარე გაზარდა. თანმიმდევრულად ვმუშაობთ საკაბელო მეურნეობის რეაბილიტაციაზე და ჩანაცვლებაზე. თბილისში უკვე 200 კარადა გამოვცვალეთ, სადაც დავაყენეთ ჩვენი აპარატურა. ახლა აბონენტებს არა ატეესიდან, არამედ უკვე ამ კარადებიდან ვემსახურებით. ეს აბონენტებისთვის ინტერნეტ-ტელევიზიისა და სხვა დამატებითი სერვისების შეთავაზების საშუალებას გვაძლევს.

გოჩა წიკლაურის სასამართლო პროცესი ადვოკატების დაცვითი სიტყვით განახლდება

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრგოჩა წიკლაურის სასამართლო პროცესი დღეს 12 საათზე, ადვოკატების დაცვითი სიტყვით განახლდება.

პროკურატურა წიკლაურის მიმართ 3-წლიან პატიმრობას და 3000 ლარის ჯარიმას ითხოვს.

სასჯელი პროკურატურამ წინა სასამართლო სხდომაზე საბრალდებო სიტყვის დროს მოითხოვა.

წიკლაურის ადვოკატებმა დააყენეს შუამდგომლობა სამი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ, საიდანაც მოსამართლემ მხოლოდ ერთი მტკიცებულება ცნო დაუშვებლად. მთავარი მტკიცებულების - დაკავებისა და ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობა მოსამართლე დავით ჯუღელმა არ დაკმაყოფილა.

გოჩა წიკლაური 2009 წლის 6 ივნისს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავეს.

ინტერპრესნიუსი

აჭარაში დამოუკიდებელმა ტელეარხმა სასამართლო პროცესი წააგო

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეგიონში მაუწყებელ დამოუკიდებელ ტელეარხ "Tv25"-ს, სადავო თანხის 277 247 ლარის გადახდა დაეკისრა.

ტელეკომპანიასა და აჭარის საგადასახადო სამსახურს შორის დავა 2004 წელს დაიწყო. ტელეკომპანია იმ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას ითხოვდა, რომლითაც აჭარის საგადასახადო სამსახური მას ამ თანხის გადახდის ვალდებულებას აკისრებს. ტელეკომპანია "tv25 არსებული დავალიანება გადაუხდელი გადასახადების სახით, აჭარის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში დაუგროვდა. არხის მფლობელები, წლების მანძილზე, ტელეკომპანიის მმართვას მოკლებულნი იყვნენ, რადგანაც მაშინდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ არხის წილი მისთვის სასურველ პირებს გადაუფორმა. ტელეკომპანიამ არხის მმართვის რეალური უფლება, მართალია, 2004 წლიდან მოიპოვა, თუმცა დღევანდელი დავა სახელმწიფოსა და კერძო ტელეკომპანიას შორის, სწორედ მას შემდეგ დაიწყო.

2008 წლის აპრილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ტელევიზიის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საგადასახადო შემოწმების აქტი ბათილად ცნო, ხოლო საგადასახადო სამსახურს ახალი აქტის გამოცემა დააკისრა. საგადასახადო სამსახურმა სასამართლოს განაჩენი არ შეასრულა და საქმე ისევ პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა.

"tv25" დღესდღეობით, აჭარაში მოქმედი ერთადერთი მაღალი სიხშირის მქონე დამოუკიდებელი არხია, რომლის მაუწყებლობაც გურიის რეგიონსაც არხის მეპატრონეები სასამართლოს გადაწყვეტილებას უნდობლობას უცხადებენ და დახმარებას დიპლომატიურ კორპუსსა და საქართველოს სახალხო დამცველს სთხოვენ.

მედიანიუსი

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა ძლიერდება

თამარ კაკიტაძე

"ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატუსის მინიჭება გარკვეული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემდეგ, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძლია. თუმცა, რამდენიმე დღის წინ, პარლამენტმა ვიცესპიკერ რუსუდან კერვალიშვილს ინიციატივით, ახალი პროექტის განხილვა დაიწყო, რომლის მიღების შემთხვევაში, ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსს სპეციალური ჯგუფიც შეძლებს.

კანონპროექტის ინიციატორის განმარტებით, შესაბამის ჯგუფს შეეძლება გამოიძიოს ძალადობის ფაქტი, დაადგინოს, რამდენად არის საჭიროება, დაზარალებულს მსხვერპლის სტატუსი მიენიჭოს და საჭიროების შემთხვევაში, საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნის.

ამასთან ახალი კანონპროექტი კრიზისული ცენტრის შექმნასაც ითვალისწინებს, რომელიც ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ცენტრი იქნება.

"კრიზისულ ცენტრში მოხდება დაზარალებულის ფსიქორეაბილიტაცია და ის არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს თავშესაფრის ფუნქციას," - ამბობს რუსუდან კერვალიშვილი.

ცვლილებების მიხედვით, ოჯახის წევრად განისაზღვრებიან სიდედრი, სიმამრი, დედამთილი და მამამთილიც. მოქმედი კანონით კი ოჯახის წევრად მხოლოდ მეუღლე და შვილი ითვლება.

კანონპროექტი დამატებით ფინანსურ ხარჯებს არ ითვალისწინებს. მის მომზადებაზე არასამთავრობო ორგანიზაციებიც მუშაობდნენ.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა შესახებ საქათველოში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, ხშირ შემთხვევაში, ქალები და ბავშვები არიან, ხოლო მოძალადეები მამაკაცები. თუმცა, ოჯახური ძალადობის ობიექტი შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი, მათ შორის ხანდაზმული მშობლები და მამაკაცებიც.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ბოლო პერიოდში საქართველოში ძალიან გახშირდა ოჯახური ძალადობის ფაქტები, რაც ხშირად მკვლელობებით და სხვა მძიმე დანაშაულითაც სრულდება. თუმცა, ჯერჯერობით სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკაში ოჯახური ძალადობის მუხლით გასამართლებულთა მონაცემი არ არსებობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დღეს საქართველოში სულ აღრიცხულია 757 ოჯახური ძალადობის ფაქტი. აქედან 686 შემთხვევაში მოძალადე იყო მამაკაცი, 71 კი ქალი. რაც შეეხება მსხვერპლს, მათი რაოდენობა ასე ნაწილდება. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი 682 ქალია, კაცი - 76, მათი უმრავლესობა ხანდაზმულია.

საქართველოში ოჯახური ძალადობის პრობლემაზე მუშაობს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი (დექი), რომელიც ამ პროგრამას ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ესტონეთის ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით ახორციელებს. სწორედ, ამ პროექტის ფარგლებში ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ფეხმძიმე ქალებზე ცოტა ხნის წინ კვლევა ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ მოსაზრება, თითქოს ქართველოში ფეხმძიმე და მელოგინე ქალები საყოველთაო ყურადღებით არიან გარემოცულნი, სულაც არ არის ჭეშმარიტება.

კვლევისა გამოიკითხა 749 რესპონდენტი, რომელთა უმრავლესობა - 91 პროცენტი ეთნიკურად ქართველია. გამოირკვა, რომ 77 პროცენტი ფეხმძიმე ქალი არის კანონიერად ქორწინებაში, არარეგისტრირებულ ქორწინებაში კი ქალების 12 პროცენტი ცხოვრობს, ხოლო მარტოხელა ქალები ან ქალები, რომლებსაც ჰყავთ კონკრეტული პატრნიორი მხოლოდ ექვსი პროცენტია.

იმ მამაკაცთა ნახევარი, რომლებიც მიდრეკილნი არიან ძალადობისკენ, დადებითად ეპყრობიან ფეხმძიმე ცოლებს ან პარტნიორებს. სწორედ, ისე, როგორც ჰარმონიულ ოჯახებში ხდება. ყოველი მეხუთე ქალს, რომელიც ცხოვრობს ძალადობრივ ატმოსფეროში, აღარ სურს შვილის გაჩენა.

გამოკითხვის თანახმად, საქართველოში ოჯახების 22 პროცენტი, სადაც ძალადობას აქვს ადგილი, ჩხუბობენ ყოველ კვირას, 36 პროცენტი კი თვეში რამდენჯერმე. ქალების 12 პროცენტი აღიარებს, რომ კამათი პერმანენტულად, ან ხშირად გადადის ფიზიკურ ძალადობაზე. ქალთა 36 პროცენტი, რომლებიც ახლაც ძალადობის მსხვერპლად ითვლებიან, აღიარებენ, რომ მათი ყოფილი პარტნიორებიც ფიზიკურად ძალადობდნენ მათზე. ქალთა 43 პროცენტი აღიარებს, რომ ქმარმა მასზე ძალადობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი ფეხმძიმობის ამბავი გაიგო. ქალთა 10 პროცენტმა განაცხადა, რომ ამ ძალადობის გამო, მათ ორსულობა შეუწყდათ. 7 პროცენტმა კი მიიღო სიცოცხლისთვის საშიში ტრამვა.

ძალადობისკენ მიდრეკილი კაცების 13 პროცენტი არა მხოლოდ ცოლზე, შვილზეც ძალადობს. ძალადობის მსხვერპლი ქალების 27 პროცენტის თქმით, მათ ეშინიათ თავიანთი პარტნიორების. ქალთა 14 პროცეტს ეშიანია ახალდაბადებულთან ერთად სამშობიაროდან შინ დაბრუნება, რადგან გრძნობენ, რომ როგორც მათი სიცოცხლე, პატარას სიცოცხლეც, შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს.

ქალთა 36 პროცენტი ძალადობის შიშით ქრონიკულ სტრესის ქვეშაა, უმრავლესობას კი რეგულარულად უძილობა აწუხებს. ყოველი მეოთხე - სისუსტესა და დაღლილობას უჩივის. ხოლო ყოველი - მეხუთე ნერვიული და გაღიზიანებულია. 14 პროცენტს თან სდევს შიში და პანიკისგან გამოწვეული შეტევა.

საერთაშორისო გამოკვლევებით, ცნობილია, რომ დედის ნეგატიური ემოციები, ნაყოფის, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ფიზიკურ ჯანმრთელობაზე მოქმედებს. ეს კვლევაც იმის დასტურია, რომ ქალებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან, ებადებათ უფრო სუსტი და მსუბუქი ბავშვები, ვიდრე მათი, ვისი ფეხმძიმობაც კომფორტულად და სტაბილურად მიმდინარეობს, - აღნიშნულია დასკვნაში.

გამოკითხვამ გამოავლინა სხვა საინტერესო ფაქტიც, კერძოდ, ძალადობის მსხვერპლ ქალებს ნაკლებად ეშინიათ მშობიარობის, ვიდრე მათ ვინც კომფორტულ გარემოში ცხოვრობს.

როგორც ჩანს, ცხოვრებაში გამუდმებული სტრესებმა ისინი გააკაჟეს და სათანადოდაც უმკლავდებიან მას. მათ ხომ ფიზიკური ტკივილის გარკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვილი. თუმცა, ისინი უფრო მეტად საჭიროებენ ახლობლებისგან ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, - ამბობენ ექსპერტები.

ქართულ რეალობაში ოჯახური ძალადობის თემა ძალზე აქტუალურია, თუმცა ბევრი მსხვერპლი ვერ ბედავს სასამართლოს მიმართოს, ან უბრალოდ, არ იცის, რომ არსებობს კანონი, რომელიც მათ მოძალადისგან დაიცავს.

საქართველოში კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ 2006 წლის მაისში მიიღეს. ქართული კანონმდებლობა ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის პარალელურად, ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილების მექანიზმებსაც ითვალისწინებს.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები განისაზღვრება შემაკავებელი ორდერით, რომელსაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი გამოსცემს. აქტი 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება. სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დამტკიცებზე უარის თქმის შესახებ. დამცავი ორდერი გამოიცემა სამი თვით და მისი ვადის გაგრძელების ან შემცირების საკითხს სასამართლო განსაზღვრავს.

საშინაო ძალადობის საქმეებში სასამართლოს მიზნებია: ძალადობის შეწყვეტა; შეურაცხყოფილი მხარის დაცვა; ბავშვებისა და ოჯახის წევრების დაცვა; საზოგადოების დაცვა; მოძალადის პასუხისგებაში მიცემა; მოძალადის რეაბილიტაცია; შეურაცხყოფილი მხარისთვის ზარალის ანაზღაურება და რაც მთავარია, საზოგადოებითვის იმის თქმა, რომ საშინაო ძალადობა არ იქნება შეწყნარებული.

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება

აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ან მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

თუმცა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ქართულ სინამდვილეში ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი სამართალდამცველებს მიმართავს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, დაწესებული სანქციების მოხსნას თვითონვე ითხოვს.

United Nations Development Programme

UNDP Georgia

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამას პატივი აქვს

გამოაცხადოს ტენდერი

მანქანის გაყიდვაზე

დეტალური ინფომაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე www.undp.org.ge/new/tenders.html წინადადები უნდა ჩააბაროთ დალუქული კონვერტით გაეროს სახლში მოთავსებულ სპეციალურ ყუთში. კონვერტზე მიუთითეთ თქვენი სახელი, საკონტაქტო მონაცემები და ელექტრონული ფოსტის მისამართი. გთხოვთ ჩააბაროთ თქვენი წინადადებები 2009 წლის 23 ოქტომბრის 17.30 საათამდე შემდეგ მისამართზე: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო. ტელ: (995-32) 25-11-26. საკონტაქტო პირი: ლევან კუჭუხიძე.

კლინტონის ვოიაჟი

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ლონდონში იმყოფება ბრიტანეთის პრემიერ გორდონ ბრაუნთან მოსალაპარაკებლად. ეს ვიზიტი ევროპაში მისი ხუთდღიანი მოგზაურობის ფარგლებში იმართება. მოლაპარაკებები შეეხება ავღანეთში არსებულ სიტუაციას და ბარაკ ობამას მიერ რეგიონთან დაკავშირებული სტრატეგიის გადახედვას.

ავღანეთში ბრიტანეთის შენაერთები - ამ ქვეყანაში არსებულ მოკავშირეთა საომარი კონტიგენტის შემადგენლობაში მეორე ადგილზეა რიცხოვნებით ამერიკის შეერთებული შტატებიას შემდეგ.

კვირას, კლინტონს დაგეგმილი აქვს შეხვედრა ბირტანეთის პრემიერ გორდონ ბრაუნთან, სადაც ისინი განიხილავენ იარანის ბირთვულ პროგრამასა და ავღანეთის ომთან დაკავშირებულ საკითხებს. კლინტონი ლონდონში ციურიხიდან ჩაფრინდა, სადაც იგი დაესწრო ისტორიული შეთანხმების ხელმოწერას, თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონის განცხადებით, დიდ ბრიტანეთში დაგეგმილი შეხვედრების ფარგლებში კლინტონი "აწარმოებს მოლაპარაკებებს ბრიატენეთის მაღალი თანამდებობის პირებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ირანზე, ავღანეთსა და პაკისტანზე."

გუშინ კლინტონი ირლანდიაშიც იმყოფებოდა.

ჰილარი კლინტონი და გორდონ ბრაუნი

12-დან 15 ოქტომბერს ჰილარი კლინტონი თავის ახალ თანამდებობაზე ყოფნის დროს პირველად მიემგზავრება რუსეთში. სამშაბათს მას დაგეგმილი აქვს შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან. მოსკოვში ვიზიტის დროს კლინტონი გამართავს მოლაპარაკებას სტრატეგიული თავდაცვითი შეიარაღების შესახებ ახალი შეთანხმების დასასრულებლად. ამჟამად არსებულ შეთანხმებას 5 დეკემბერს ეწურება ვადა, და ორივე მხარე ამ წლის განმავლობაში თითქმის ყველაფერს აკეთებდა რათა დოკუმენტის ვადის ამოწურვას არ წამოეშვა სამართლებრივი ვაკუუმი ისეთ კრიტუკულ სფეროში როგორიც ბირთვული განიარაღებაა.

გარდა ამისა, მოსკოვში ყოფნისას კლინტონი ასევე გეგმავს შეეხოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სიტუაცია ირანში და ადამიანის უფლებები რუსეთში. თეთრი სახლის ინფორმაციით, მოსკოვში აშშ სახელმწიფო მდივანი საკმაოდ მაღალი რანგის პირებთან ერთად აპირებს გამგზავრებას.

ძირითად მოლაპრაკებებს იგი მის რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან გამართავს, ისინი შეეხებიან ისეთ საკითხებს როგორიცაა: ტერორიზმის პრობლემა, ავღანეთი, ირანი, ასევე გვერდს ვერ აუვლიან ახლო აღმოსავლეთის პრობლემას.

სექტემბერში ნიუ-იორკში მაჰუმდ აბასსა და ბენიამინ ნეთანიაჰუასთან შეხვედრების შემდეგ ბარაკ ობამამ სახლემწიფო მდივანს დაავალა ყველაფერი იღონოს ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. ამისათვის, ცხადია, ამერიკას სჭირდება მოკავშირეები და ანალიტიკოსების ვარაუდით კლინტონი შეეცდება ლავროვისაგან მხადრაჭერის მოპოვებას.

ამას გარდა, განიხილება რუსულ-ამერიკული საპრეზინდეტო კომისიის შექმნა, რომლის კოორდიანტორები სერგეი ლავროვი და ჰილარი კლინტონი იქნებიან.

ივარაუდება, რომ კლინტონი მოსკივში ვიზიტის დროს შეეხება ადამინის უფლებების საკითხს. კლინტონი ცოტა ხნის წინ სიტყვით გამოვიდა ანა პალიტკოვსკაიას მკვლელობის წლისთავზე, სადაც ხაზი გაუსვა რომ "რუსეთის უუნარობა დასაჯოს ჟურნალისტის მკვლელები ძირს უთხრის ქვეყანაში კანონის უზენაესობას."

სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკიტხებში ფილიპ კროულიმ განაცხადა, რომ მოსკოვში ვიზიტის მომზადებისას კლინტონმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ქვეყანაში არსებულ ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესწავლას.

ამერიკის დედაქალაქში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსეთში ადამინის უფლელბების სისტემატური დარღვევა წარმოადგენს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის "გადატვირთვის" მთავარ დაბრკოლებას.

კლინტონმა გამოთქვა შეშფოთება იმის შესახებ რომ 2000 წლიდან რუსეთში 18 ჟურნალისტი იქნა მოკლული და მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში მოხდა მკვლელის დასჯა.

თავის განცხადებაში კლინოტნმა განსაკურებით გაამხავილა ყურადღება 3 შემთხვევაზე: "ნოვაია გაზეტას"-ის მიმომხილველ ანა პოლიტკოვსკაიას გაუხსნელ მკვლელობაზე, რომელიც დახვრიტეს საკუთარ სადარბაზოსთან 2006 წლის 7 ოქტომბერს; ჟურბალ "ფორბსის" რუსული გამოცემის რედაქტორის პოლ ხლებნიკოვის მკვლელობაზე, რომელიც რედაქციის კარებთან მოკლეს 2004 წელს და ბოლო დროს მომხდარ - ნატალია ესტემიროვას მკვლელობაზე, ამ წლის ივლისში.

მოამზადა თამთა კახაძემ

სკინჰედები - მკვლელები არა ნაციონალურ ნიადაგზე

მოსკოვის საქალაქო სასამართლოს ნაფიცმა მსაჯულებმა ოთხი მოსკოველი სკინჰედი არასლავური გარეგნობისა და წარმოშობის ადამიანების მკვლელობაში დამნაშავეებად ცნეს. ოთხივე მათგანს განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის მუხლებით გაასამართლებენ და არა ნაციონალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისთვის, რადგან ნაფიცმა მსაჯულებმა ოთხივე სკინჰედს ეს ბრალდება მოუხსნეს.

ოთხივე ბრალდებული კარგად ცნობილი "რინო-სკაჩევსკის" დაჯგუფების წევრია, რომლებიც არასლავური წარმოშობის ადამიანების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ. სკინჰედები დანებით და ჩაქუჩებით იარაღდებოდნენ და არასლავური გარეგნობის, ძირითადად, აზიის ქვეყნებისა და კავკასიის რეგიონის წარმომადგენლებს თავს ესხმოდნენ, რომლებსაც ან კლავდნენ, ან სასიკვდილოდ სცემდნენ.

თავად, ამ დაჯგუფების ხელმძღვანელები არტურ რინო და პაველ სკაჩევსკი, გასულ წელს, ჯგუფის სხვა 5 წევრთან ერთად დააკავეს და გაასამართლეს. დაკავების მომენტში, მათ 20-მდე ადამიანის განზრახ მკვლელობაში ედებოდათ ბრალი. რინომ რამდენიმე დანაშაული აღიარა, ხოლო სკაჩევსკი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარს ამბობდა. არტურ რინომ გამოძიებას გაუმხილა, რომ სკოლის ასაკიდან ჰქონდა სიძულვილი კავკასიელი და აზიელი ხალხების მიმართ. გარდა ამისა, მან სამართალდამცველებს სკინჰედების სამოქმედო გეგმაც გაანდო.

იმისთვის, რომ მილიციას არ დაეჭირათ, ჯგუფის წევრები დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მოქმედებდნენ. "წმენდაზე" საღამოობით გადიოდნენ. მსხვერპლს სხვადასხვა მიზნით, ან უმიზეზოდ ესხმოდნენ თავს და დანით და ჩაქუჩით დაახლოებით 20-მდე ჭრილობას აყენებდნენ. რინოს თქმით, მათ ყოველთვის ჰყავდათ თვითმხილველი, თუმცა კონფლიქტში ჩართვას თავს ყველა არიდებდა და შემთხვევის ადგილს სასწრაფოდ ტოვებდნენ.

სასამართლომ "რინოს დაჯგუფების" საქმეზე განაჩენი გასული წლის 15 დეკემბერს გამოიტანა - შვიდივე ბრალდებულს 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რინო და სკაჩევსკი საერთო რეჟიმის კოლონიაში 10 წელს გაატარებენ. ვინაიდან, მათ სასტიკი მკვლელობები მაშინ ჩაიდინეს, როცა არასრულწლოვნები იყვნენ, სასამართლოს მიერ მათთვის გამოტანილი ყველაზე მკაცრი განაჩენი თავისუფლების 10 წლით აღკვეთა აღმოჩნდა.

რინოსა და სკაჩევსკის დაჯგუფების ოთხ წევრს, 19 წლის ალექსანდრ ტრაპალინს, ასევე 19 წლის სერგეი კუდაშკინს, 21 წლის ალექსეი ავდეევს და 20 წლის ვალენტინ ტუმაევს, რომლებსაც მათი მეთაურების გასამართლებიდან 10 თვის შემდეგ მიუსაჯეს განაჩენი, პროკურორი რასობრივი მოტივით ორი და მეტი პირის მკვლელობაში, ასევე რამდენიმე ადამიანის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდა. თუმცა, მოსკოვის საქალაქო სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე, არც ერთმა ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო. ნაფიცმა მსაჯულებმაც ისინი რასისტებად არ ცნეს.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო-ანალიტიკურმა ცენტმა "სოვა"-მ რუსეთის ფედერაციაში რადიკალური ნაციონალიზმის თაობაზე ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც წერია, რომ ყველაზე მეტად საყურადღებო სხვადასხვა რასის ადამიანებზე განხორციელებული სასტიკი თავდასხმებია, რომელთა უმრავლესობაც მსხვერპლის სიკვდილით მთავრდება. სკინჰედების მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და თავდასხმები უფრო და უფრო ორგანიზებული ხდება. სკინჰედებმა ჩაატარეს "წმენდა", რის შემდეგაც მოსკოვის პროკურატურამ აღიარა, რომ ქალაქის რამდენიმე რაიონში ერთდროულად, დათქმულ დროს მოქმედებდა რამდენიმე დაჯგუფება. "წმენდას" რამდენიმე ათეული ადამიანი შეეწირა.

გარდა ამისა, "სოვა"-ს ინფორმაციით, კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენციაა, სამართალდამცველების მხრიდან, სკინჰედების მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა. არადა, ნეონაცისტები, თავიანთი "საქმიანობას" თავად უკეთებენ რეკლამას, ვებ-გვერდებზე მრავლადაა განთავსებული მათ მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების ამსახველი კადრები.

თურქეთმა და სომხეთმა დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს

პირველი გვერდიდან

შაბათს ხელმოწერას უპრობლემოდ არ ჩაუვლია, ის სამი საათით გადაიდო თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების გამოსვლის ტექსტების შეუთანხმებლობის გამო. ხელმოწერის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად ამერიკის სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, რომელიც ცერემონიაზე დასასწრებად ციურიხში იყო ჩასული, პირადად მოუწია საქმეში ჩარევა და სიტუაციის განმუხტვა. სომხეთის მხარის პროტესტი გამოიწვია ფრაზამ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლში, რომელიც კავკასიაში უფრო ფართო სტაბილურობას ეხებოდა, (დიპლომატიური ენიდან ჩვეულებრივზე "თარგმნისას" ეს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს გულისხმობს), ხოლო თურქეთის მხარეს არ მოეწონა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში ის ფრაზა, რომელიც წინა საუკუნეში სომეხთა გენოციდზე არაპირდაპირი მინიშნება იყო. ედუარდ ნალბანდიანი და ჰილარი კლინტონი უკან სასტუმროში მიბრუნდნენ საკითხის შესათანხმებლად, კლინტონის მოადგილე კი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ტელეფონით აგვარებდა საქმეს. ხელმოწერის სკანდალურად ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება, რომელიც უფრო პრობლემის დროებით მიჩუმათების მცდელობას გავს. ტექსტებზე საერთო აზრამდე ვერ მივიდნენ და გადაწყდა ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ არცერთი მინისტრი სიტყვით არ გამოსულიყო, შემოიფარგლნენ მხოლოდ ხელის ჩამორთმევით და პროტოკოლური სურათების გადაღებით.

ხელმოწერას ესწრებოდნენ აშშ სახელმწიფო მდივანი - ჰილარი კლინტონი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - ბერნარ კუშნერი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - სერგეი ლავროვი, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრი - სამუელ ჟბოგარი, ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო ურთიერთობებსა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანა და ცხადია, მასპინძელი - შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრი - მიშლინ კალმი-რეი. ასეთი ფართო წარმომადგენლობა თურქეთ-სომხეთის ისტორიული შეთანხმების ფართო საერთაშორისო მხარდაჭერის ერთ-ერთი გამოხატულება გახდა.

დოკუმენტის ხელმოწერას სომხეთში წინ უძღოდა სერიოზული დემონსტრაცია, რომელშიც ორგანიზატორის - დაშნაკცუთიუნის გარდა მანაწილეობა რამდენიმე სხვა ოპოზიციურმა პარტიამაც მიიღო, საპროტესტო აქციაზე დაახლოებით 10 ათასი ადამიანი მივიდა. ცალსახა დამოკიდებულება არ არის თურქეთშიც, ნაციონალისტები ამ ქვეყანაშიც ეწინააღმდეგებიან ამ შეთანხმებას, მათთვის მთავარი ხელისშემშლელი მომენტი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტია. არ არის გამორიცხული გარკვეული პრობლემები შეექმნას ამ დოკუმენტის რატიფიკაციას ორივე ქვეყანაში. შეიძლება უბრალოდ გაიწელოს დრო და ორივე ქვეყნის მთავრობას დასჭირდეს გარკვეული მუშაობა, აგრეთვე საწინააღმდეგო მხრიდან გარკვეული დათმობის დემონსტრირება. სომხეთის მხარისათვის პირველი კონკეტული ნაბიჯი თურქეთის მიერ საზღვრის გახსნაა, რომელიც ამ ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს და ხალხს დაარწმუნებს იმაში, რომ ხელშეკრულებას რეალური ნაბიჯები მოჰყვება, თურქეთისთვის კი სომხეთის მიერ ყარაბაღში დათმობაზე წასვლაა. მაგალითად თურქი ანალიტიკოსი ამბერინ ზამანი აცხადებს: "მე არ მჯერა, რომ ოქმი რატიფიცირებულ იქნება, სანამ სომხეთი რაიმე დათმობაზე არ წავა ყარაბაღში".

ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ცალსახად, ოფიციალურ დონეზე გამოხატა თავისი უკმაყოფილება ამ ოქმების ხელმოწერის გამო, ეს აზერბაიჯანი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ორი ქვეყნის სუვერენული უფლებაა, მაგრამ თუ ეს ყარაბაღის ხარჯზე მოხდება, მათი აზრით ეს ჩრდილს მიაყენებს აზერბაიჯან-თურქეთის მეგობრობას.

ეს აზრი უფრო განავრცო პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თავის ინტერვიუში. მისი აზრით, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება და თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების გაუმჯობესება პარალელური პროცესი უნდა იყოს. მან იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო ძალისხმევით ეს ასეც იქნება. ალიევმა ისიც კონკრეტულად მიანიშნა, თუ რა დათმობას ელოდება სომხეთიდან. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განცადა, რომ თურქეთის მიერ საზღვრის ჩაკეტვა 1993 წელს სომხეთის მიერ კელბაჯარის რაიონის დაკავებას მოჰყვა. (ცნობისათვის - ეს არის აზერბაიჯანის რაიონი, რომელიც მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის მდებარეობს. კელბაჯარის შემდეგ სომხებმა აზერბაიჯანის კიდევ რამდენიმე რაიონი დაიკავეს მთიანი ყარაბაღის სამხრეთით, ყარაბაღსა და ირანს შორის და დღეს კვლავ აკონტროლებენ ირან-აზერბაიჯანის საზღვრის 140 კილომეტრს). მისი აზრით თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა უნდა დაუკავშირდეს სომხეთის უკანდახევას ამ აზერბაიჯანულ რაიონებში.

სხვათაშორის 9 ოქტომბერს კიშინიოვში, დსთ-ის სამიტის ფარგლებში ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხებზე სასაუბროდ ერთმანეთს შეხვდნენ სომხეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტები სერჟ სარგსიანი და ილჰამ ალიევი. მათ დიდხანს, სამსაათნახევარი ილაპარაკეს, მაგრამ შემდეგ პრესისთვის განცხადებები არ გაუკეთებიათ. როგორც ჩანს, რეალური შედეგი არ არის. შეხვდრის შესახებ ზოგადი ფრაზებით მხოლოდ შუამავლებმა - მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა ისაუბრეს.

ამ ხელმოწერის შემდეგ სწრაფი წინსვლის მაგივრად პრობლემებს, მათ შორის პირველ რიგში შიდაპოლიტიკურს, ელოდება სომეხი ექსპერტების ნაწილიც. მაგალითად სომეხი პოლიტოლოგი შუშან ხატლამაჯიანის აზრით სომხეთში ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ოქმები გაუაზრებელია, ყურადღება მახვილდება გენოციდის საკითხსა და ორ ქვეყანას შორის საზღვრის ურთიერთაღიარებაზე (ისე საინტერესოა ამ უკმაყოფილო პოლიტიკოსებსა და ხალხს ვკითხოთ ამის გარეშე როგორ შეიძლება მოხდეს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება?).

სომეხი პოლოტოლოგი მიიჩნევს, რომ "ნორმალიზაციის" ეს ეტაპი ძირითადად ვაშინგტონის ინსპირირებულია და სამწუხაროდ მესამე ქვეყნები ბოლომდე არ ითვალისწინებენ თურქეთსა და სომხეთს შორის არსებული რეალური წინააღმდეგობების სიღრმეს. ამიტომ შუშან ხატლამაჯიანი კონკრეტულ საქმეში სწრაფ წინსვლას არ ელოდება.

პაკისტანის არმიის შტაბ-ბინის აღებას მძევლები შეეწირნენ

პაკისტანის არმიის ქვედანაყოფმა კვირას, ისლამაბადთან ახლოს მდებარე ქალაქ რავალპინდის სამხედრო კომპლექსის შტურმის აღების შემედგ 22 მძევალი გაათავისუფლა. სამხედრო კომპლექსში ბოევიკებს მძევლები 20 საათზე მეტი ხნის განმავლობაში ყავდათ დატყვევებული.

შტურმის დროს სამი მძევალი და ოთხი ბოევიკი დაიღუპა. შემთხვევას პაკისტანის არმიის 6 ჯარისკაციც ემსხვერპლა.

სამხედრო ფორმებში გამოწყობილი ბოევიკები კარგად გამაგრებულ შტაბ-ბინას თეთრი ფურგონით ადგილობრივი დროით შაბათს შუადღისას მიუახლოვდნენ, ცეცხლი გახსნეს და ხელყუმბარების სროლა დაიწყეს, რასაც ორმხრივი სროლები მოყვა. თავდასხმის დროს შტაბში პაკისტანის არმიის ბევრი მაღალჩინოსანი ოფიცერი იმყოფებოდა.

შტაბ-ბინაზე თავდასხმამდე ერთი დღით ადრე კიდევ ერთი ტერაქტი ქალაქ ფეშავარში განხორციელდა, სადაც აფეთქებას 50 ადამიანის სიცოცხლე ესხვერპლა.

პაკისტანის არმია თალიბების წინააღმდეგ მსხვილი ოპერაციისთვის ემზადება. ამაზე ავღანეთის სასაზღვრო ზოლის გახშირებული დაბომბვები მიუთითებს.

რავალპინდში სამხედრო შტაბ-ბინაზე მომხდარ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ჯერ-ჯერობთ არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. თუმცა თალიბები სულ ცოტა ხნის წინ, მათ წინააღმდეგ მიმართული ოპერაციების გაგრძელების შემთხვევაში, მორიგი თავდასხმით იმუქრებოდნენ.

თალიბები პაკისტანის კუთვნილი ბირთვული იარაღის მითვისებითაც იმუქარებიან, თუმცა ამერიკა და დიდი ბრიტანეთი არარეალურად მიიჩნევენ.

ვიზიტით ლონდონში მყოფმა ამერიკის სახლემწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ რავალპინდში სამხედრო ყაზარმებზე მომხდარი თავდასხმები მოწმობს, რომ თალიბანის მხრიდან წამოსული საფრთხე იზრდება, თუმცა მისივე თქმით, საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ტერორისტული ორგანიზაცია პაკისტანში ძალაუფლებას ჩაიგდებს ხელში.

ჰილარი კლინტონის მოსაზრებას დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდიც იზიარებს, რომლის აზრითაც თალიბების მიერ ბირთვული იარაღის მითვისების საშიშროება არ არსებობს.

მოამზადა მარიკა იაშვილმა

ირანში საპროტესო აქციის მონაწილეებს სიკვდილი მიუსაჯეს

სამ ირანელს, რომლებიც ქვეყანაში ივნისში მიმდინარე საპროტესtო გამოსვლებში მონაწილეობდნენ, სიკვდილი მიესაჯათ. ირანული საინფორმაციო სააგენტოების განცხადებით, გადაწყვეტილება წინასწარია და ის უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლომ უნდა დაადასტუროს.

სიკვდილმისჯილთა სახელები ჯერ-ჯერობთ არ ხმაურდება. დაზუსტებით მხოლოდ ოპოზიციის ერთ-ერთი აქტივისტის სახელია ცნობილი, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომა შეეფარდა. ეს მოჰამედ რეზა ალი ზამანია.

ირანის იუსტიციის სამინისტროში, მხოლოდ სიკვდილმისჯილთა სახელების ინიციალებს აცხადებენ: "მზ" და "აპ" ისინი აკრძალულ მონარქიულ დაჯგუფებასთან თანამშრომლობაში არიან ბრალდებული. მესამე - "ნა" ორგანიზაცია "პიპლს მუჯაჰიდინთან" (People's Mujahideen) თანამშრომლობაშია ბრალდებული. ეს კიდევ ერთი დაჯგუფებაა, რომელიც ისლამისტური რესპუბლიკის აღორძინებისთვის იბრძვის.

ირანის ხელისუფლების გადაწყვეტილებას საერთაშორისო ორგანიზაცია "ამნესთი ინთერნეიშენალი" (Amnesty International) აკრიტიკებს და მას "სამართლის პაროდიას" უწოდებს.

ირანში 12 ივნისს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაწყებული მასობრივი გასმოვლების დროს 30 ადამიანი დაიღუპა, ხოლო ათასობით დააკავეს. მათი უმეტესობა მოგვიანებით გაათავისუფლეს, თუმცა 200 ადამიანი ჯერ კიდევ პატიმრობაში რჩება და 110 მათგანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

მოამზადა მარიკა იაშვილმა

რევიუ



„საზღვარი-თავი I“ ქართველ-არგენტინული გამოფენაა. ლევან მინდიაშვილისა და ქრისტიან ტონჰაიზერის თანამშრომლობა ქართული პროექტის ფარგლებში „საზღვარი“ დღეს, 17 საათიდან, კავკასიურ სახლში ბევრისთვის გახლდება ხილვადი. პროექტზე „საზღვარი“ არაერთი ქართველი ხელოვანი მუშაობს, თუმცა ამ ეტაპზე გაერთიანება „არქიდრომი“ მხოლოდ ქართულ-არგენტინულ კოლაბორაციას წარმოაჩენს. ომი, ქართველი ემიგრანტები, განსხვავებულ კულტურათა თავისთავადობა დროის მიღმა სივრცეში - ეს ის თემებია, რომელსაც სამი ვიდეო და ბოენოს აირესში გამართული აქციების ფოტომასალა წარმოაჩენს. გამოფენა, რომელიც ფესტივალ „არტისტერიუმის“ პროგრამაშიც შედის, სულ სამ დღეს გასტანს.

კრატოსი blue ray-ზე ინაცვლებს

ია ვეკუა

ტრადიციულად გაგაცნობთ რამდენიმე ახალი ვიდეოთამაშის მსოფლიო რელიზთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ამჯერად ოთხი პოპულარული თამაში შევარჩიეთ, რომლებსაც გეიმერები განსაკუთრებული მოუთმენლობით ელიან. გარდა ამისა, მოგითხრობთ God of War Collection-ის შესახებ, რომელიც ამ თამაშის მოყვარულებს ნამდვილ სიურპრიზს სთავაზობს.

Ubisoft-მა გუშინ დაწყებულ Tokyo Game Show 2009-ზე ოფიციალურად განაცხადა, რომ ამ კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული თამაშის Splinter Cell-ის მორიგი ნაწილი Splinter Cell: Conviction ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე 2010 წლის 23 თებერვალს გამოვა. Xbox 360-სა და პერსონალური კომპიუტერის ვერსიები გაყიდვაში ერთდროულად გამოვა. თამაშის ევროპული რელიზი კი რამდენიმე დღეში იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ ამ თამაშის გამოშვება ჯერ კიდევ 2007 წელს იგეგმებოდა, თუმცა „უბისოფტმა“ მისი სრულყოფის მიზნით კიდევ ორწლიანი ვადა მოითხოვა. ამასობაში კი თამაშის მთავარ გმირს, ლეგენდარულ სემ ფიშერს ასაკი მოემატა - Conviction-ის მოთამაშეებს საკმაოდ სახეცვლილ ფიშერთან მოუწევთ შეხვედრა. თამაშის სიუჟეტი დრამატულია. ფიშერი თავისი შვილის, სარა ფიშერის სიკვდილის იდუმალებით მოცულ საქმეს იძიებს. რამდენადმე შეცვლილია გეიმპლეიც: მოთამაშეს საშუალება ექნება მონიშნოს მისი მზერის არეალში მოხვედრილი ყველა მოწინააღმდეგე და შემდეგ მათი განადგურება დაიწყოს, თუმცა ამის გაკეთება მხოლოდ სპეციალური იარაღით შეუძლია. მოთამაშეთა უკმაყოფილება სწორედ ამ ახალი ფუნქციის დამატებამ გამოიწვია, რადგან მათი აზრით ეს თამაშის პროცესს აადვილებს. თუმცა მათ ავიწყდებათ, რომ სემ ფიშერი დაბერდა და აღარც ძველებურად მახვილი თვალი აქვს და აღარც სისხარტე.

Sony Computer Entertainment-მა Uncharted 2: Among Thieves-ის გამოსვლის თარიღი დაასახელა. მას ევროპელი გეიმერები 2009 წლის 23 ოქტომბერს მიიღებენ, ხოლო ამერიკაში 10 დღით ადრე. ამჯერად ფრენსის დრეიკის შთამომავალი, ნათან დრეიკი მარკო პოლოს განძის მოსაძებნად მიემგზავრება, მეგზურობას კი ქლოი ფრეიზერი უწევს. თამაშის განმავლობაში ნათანი პირველი ნაწილის პერსონაჟს ელენა ფიშერსაც შეხვდება. Among Thieves ონლაინ რეჟიმითაც იქნება აღჭურვილი, რაც რამდენიმე მოთამაშეს ერთდროულად მისცემს ამ თავგადასავალში მონაწილეობის საშუალებას.

Gran Turismo-ს იაპონელი მოყვარულები მის მეხუთე ნაწილს 2010 წლის მარტის დასაწყისში მიიღებენ. ვინაიდან თამაშის დასრულების პროცესი ახლაც მიმდინარეობს, რელიზის კონკრეტული თარიღი ჯერ არ სახელდება. ასევე არ არის ცნობილი მისი სხვა კონტინენტებზე გამოსვლის ვადებიც. GT5-ში დაახლოებით 950 მანქანის მოდელი და ოცამდე ტრასა იქნება. ასევე მომხმარებელს საშუალება ექნება ჰიბრიდული ძრავის მქონე ან ელექტრომობილი აირჩიოს. გარდა ამისა, გაიზრდება ტრასებზე არსებული წინაღობების რაოდენობაც, ზოგი მათგანი კი მრბოლელის წინაშე მოულოდნელად გაჩნდება ხოლმე.

დაბოლოს, სიახლე God of War Collection-ის მფლობელთათვის. როგორც ცნობილია, კომპანია „სონიმ“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ ლეგენდარული თამაშის პირველი ორი ნაწილი PlayStation 3-სთვის თავიდან გამოსცეს (კოლექცია ნოემბერში გამოვა და ცხადია გრაფიკულად უფრო დახვეწილი იქნება), ხოლო მის მფლობელებს ექნებათ საშუალება God of War 3-ის დემო ვერსია PlayStation Network-იდან გადმოწერონ. რაც შეეხება თავად თამაშის მესამე ნაწილს, იგი 2010 წლის მარტის მიწურულს გამოვა.

კომენტარები მთავარზე

არარსებული ომის დამწყებნი

ლაშა ბუღაძე

გასულ კვირას ევროკომისიის (თუ რაც ქვია) დასკვნა გამოქვეყნდა. მართალია, ჩვენთვის (ისევე როგორც პუტინის რუსეთისთვის) განსაკუთრებით სასიამოვნო იქ არაფერი ეწერა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები კი (ხელისუფლებაც და ოპოზიციაც) მაინც კარგ ხასიათზე დააყენა...

ყოველ შემთხვევაში, მათ ტელე-ინტერვიუებს რომ ვუცქერ, ვხედავ, რომ აშკარად გახარებულები არიან. ოღონდ ვერ ვხვდები - მაინც რა ახარებთ ასე?!

ზოგიერთმა ე. წ. რადიკალმა ოპოზიციონერმა სრულიად გამაოგნებელი აღტაცება გამოხატა ამ მხრივ: ეხლა კი ეტირება ყოფის დღე სააკაშვილსო, ცხინვალი ჩვენ დაგვიბომბია და ომიც ჩვენ დაგვიწყიაო, შემოგვხარა.

რა საწყალი ხალხი ვართ... სულ იმის იმედი გვაქვს, რომ *ქართულ ცოდვებზე* ჩვენ კი არა, არამედ ჩვენს უფროსებს მოთხოვენ პასუხს, სინამდვილეში კი თუკი ვინმე აგებს პასუხს ომზეც, აფხაზების და ოსების ჭკუაზე მოყვანაზეც, დაბრუნებად ტერიტორიებზე ოცნებაზეც, საომარ მუს-კლიპებშიც ცეკვა-თამაშზეც და იდიოტურ-ისტერიულ ნაბიჯებზეც, ისევ ჩვენ - ბრძენი ქართველი ერი და ყველაზე ბოლოს - უფროსები.

...აი, ჩემი აზრით, როგორი ტექსტი **ამოიკითხა** ე. წ. რადიკალურმა ოპოზოცოამ ევროკომისიის (თუ რაც ქვია) დასკვნაში:

"ომი დაიწყო სააკაშვილმა, რომელიც, პრაქტიკულად, არც გახლავთ ქართველი (რადგან ქართველი არავითარ შემთხვევაში არ დაუწყებდა ომს მომმე ოსსა და აფხაზს!), გაჟუჟა 2 000 000 ოსი და ცოცხლად შეწვა მოხუცებისგან და ბავშვებისგან შემდგარი რუსული სამშვიდობოების რაზმეუ-ლი. სააკაშვილმა არ მოუსმინა ბრძენ ქართველ ერს და გულში კი არ ჩაიხუტა აფხაზები და ოსები (როგორც ამას ხსენებული ბრძენი ქართველი ერი სთხოვდა), არამედ პირიქით, მისგან კურთხევამიუცემლად შეიჭრა ოსეთში და ცხინვალი ააოხრა (ამ დროს, ქართველი ერი ყოველთვის იყო და იქნება ომის წინააღმდეგი: არც 91-ში უკითხავთ მისთვის რამე, როცა ერთმანეთს ახოცინებდნენ, არც 93-ში და არც ეხლა!). ამიტომ სააკაშვილს ჰააგაც კი არ უნდა აღირსონ, პირდაპირ ბაღდადში უნდა გაამწესონ სადამ ხუსეინივით, სადამის მოსამართლეებს დაუსვან და იმათ **ჩამოაკიდებინონ ერთ ადგილზე,** როგორც თქმულია. საქართველოს არაფერი მოაკლდება, ჩვენთვის უკეთესიც კია, რომ **ომი ჩვენ დაგვეწყო**, რადგან ამერიკა მხოლოდ ამის შემდეგ მოგვიხსნის (როგორც თავის დროზე დაგვისვა!) ამ არაქართველ დესპოტს, - დიახ, **ტალიავინი სააკაშვილს მოგვახსნევინებს**, - ამის შემდეგ კი ჭეშმარიტად დემოკრატიულ და ქართულ მთავრობას **დაგვისვამს** (რუსებთან მოლაპარაკების შემდეგ), ღვინოები ისევ მოსკოვისკენ წავა, აფხაზებს და ოსებს უცნობი შემოირიგებს თავისი სიმღერებით, რეჟ. ბასა ფოცხიშვილი თავისი რჩეული ინტერვიუების წიგნს გამოსცემს და შელახული ღირსებაც აღგვიდგება".

მოდი, ეხლა კი წარმოვიდგინოთ, ხელისუფლებას როგორი ტექსტის *ამოკითხვა* უნდოდა ეუ-დასკვნიდან:

"საქართველოში შენდება გზები. ეს ერთი. შემდეგ: ისინი ყველა სფეროში ბოლო ადგილიდან *მეცხრე* ადგილზე გადავიდნენ, შენდება ახალი სასტუმროები, შენდება **ევროპაში ყველაზე მაგარი** ფოთები და ბათუმები, იფურჩქნება დემოკრატია და არ ირბევა არც ერთი ოთხთვიანი მიტინგი, გადასარევი ამინდებია, ჩიტები სულ სტვენენ, პროფ. ლადარია უკომპრომისო სტატიებს წერს, მომღ. უცნობი **სამარცხვინოდ** გაგიჟდა, მინისტრმა კვეზერელმა ყურძენი დაკრიფა და გლეხებს უწილადა -თავად არ ჭამა, ღორის გრიპი რუსეთისკენ გაიჟონა, სტალინის ძეგლი მუზეუმში გადადის, შესამაბისად, საბოლოოდ კვდება სტალინიზმიც, ჯეოსტარი იწყება, ავტობუსები ყვითელია, პრეზიდენტის უშველებელი სატელევიზიო პირდაპირი ეთერები (ულამაზესი ქართული და თბილისური ხედების ფონზე) უდიდეს ეფექტს ახდენს მოსახლეობაზე, ყველა ბედნიერია, ყველა გამარჯვებულია...

რა ომი? **ომი არ ყოფილა".**

უგარნირო სანახაობა

ფილმი კოკო შანელზე "ამირანში" გამოვიდა

ია ვეკუა

კინოთეატრ "ამირანში" ლეგენდარული ფრანგი დიზაინერისა და სტილის კანონმდებლის, კოკო შანელის ბიოგრაფიის მიხედვით გადაღებული ფილმი "კოკო შანელი" გამოვიდა. მისი პრემიერა ახალი სუნამოების, ფეშენ ბრწყინვალებისა და წითელი ხალიჩის თანხლებით შედგა. ჩვენების სტუმრები წინასწარვე გააფრთხილეს დრეს კოდის შესახებ, რაც კინოთეატრში კოკო შანელის საყვარელ ფერებში, შავ-თეთრ სამოსში მისვლას ითვალისწინებდა. ფილმისადმი განწყობა შექმნა ფოიეში ავთანდილის მიერ წარმოდგენილმა რამდენიმე კოსტუმმაც, თუმცა ამავე განწყობის გაგრძელება თავად ფილმმა ვეღარ მოახერხა.

რა არის საჭირო ბიოგრაფიური ფილმის გადასაღებად - კარგი ტიპაჟი, ეპოქის შესაბამისი გარემო და კარგი ისტორია. უფრო სწორად კარგი ბიოგრაფია, ცხოვრების სწორედ ის ნაწილი, რომელიც ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების ყველაზე მნიშვნელოვან დეტალებს აღწერს. ახალი ფრანგული ფილმი "კოკო შანელამდე" (ქართულ გაქირავებაში უბრალოდ "კოკო შანელის" სახელით გამოჩნდა) სწორედ ამ მნიშვნელოვან დეტალსაა მოკლებული.

ძნელია იმის უარყოფა, რომ კოკო შანელი უარესად საინტერესო პიროვნება იყო და შესაბამისი ბიოგრაფიაც ჰქონდა. მან, სრულიად ახალგაზრდა ქალმა იმდენი მოახერხა, რომ ჯერ პარიზელების, შემდეგ კი უკვე მთელი მსოფლიოს შეხედულება ჩაცმის კულტურის მიმართ ერთი ხელის მოსმით შეცვალა. ის მეოცე საუკუნის ერთ-ერთი სიმბოლო, სრულყოფილი ბრენდი და მის მიერვე შექმნილი მოდელების მსგავსად განსხვავებული და ინდივიდუალური გახლდათ. "კოკო შანელის" სცენარისტმა კი რატომღაც ასეთი ადამიანის ცხოვრების ყველაზე "არა შანელური", მაყურებლისთვის პრაქტიკულად არაფრის მიმცემი ეპიზოდი აარჩია, რეჟისორმა კი ის ზედმეტად ქალურ ისტორიად აქცია. თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო - ფილმის რეჟისორი ქალი გახლავთ, ანა ფონტეინი, რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა ქალი რეჟისორების მიმართ არსებული სკეპტიციზმი. მან როგორც ქალმაც კი ვერ შეძლო კოკო შანელის ცხოვრების ყველაზე რომანტიკული პერიოდის, სიყვარულის ეპიზოდის კარგად გადმოცემა და ფილმი იაფფასიან სატელევიზიო სანახაობას დაამსგავსა.

"კოკო შანელის" მოქმედება ბავშვთა თავშესაფრიდან იწყება და კაბარეს სცენაზე გრძელდება, სადაც ახალგაზრდა შანელი ჯერ კიდევ კოკოდ გარდაქმნამდე მღეროდა. ეს ეპიზოდი ფილმში იმდენ ხანს გრძელდება, კარგი დიზაინერი ერთი კოლექციის შექმნას მაინც მოახერხებდა. ცხადია, მეორე მხრივ, საინტერესოა, რა გზა გაიარა ცნობილმა პიროვნებამ დიდებამდე, მაგრამ ფაქტია - თავშესაფარსა და კაბარეს არსად მივუყვანივართ, პირიქით იმაზე გაუვალ ჩიხში მოგვაქცია, ვიდრე ვიყავით. სწორედ აქედან ვადევნებთ თვალს კოკო შანელისა და მისი ცხოვრების ორი მამაკაცის, ეტიენ ბალზანისა და არტურ კაპელის კავშირს. სიყვარულის ქარცეცხლში გახვეული შანელი ერთდროულად ორ სახეს იძენს: ის თან ყურებამდე შეყვარებული ქალია, თანაც მომავალ დიდებაზე ფიქრი პრაგმატულად განსჯის აუცილებლობას აიძულებს. აქვე ავლენს ხასიათის თავისებურებასაც - იყოს ნონკონფორმისტი ნოვატორი, სწორედ ისეთი, ვის გემოვნებასაც მილიონები უნდა დაემორჩილონ. თუმცა ეს ყველაფერი იმდენად უმარილო სცენებითაა გადმოცემული, მაყურებელს ისღა დარჩენია, მხოლოდ იმედი იქონიოს, იქნებ სუფრას სხვა გარნირთან ერთად მარილიც შემოამატონ.

გარნირი იგვიანებს, მანამდე კი კვლავ ფილმს დავუბრუნდეთ. სწორედ მაშინ, როდესაც შანელი ყველაზე ბედნიერია, მისი ცხოვრების საუკეთესო ფურცელი სიკვდილით იცრიცება - არტურ კაპელი ავტოკატასტროფაში იღუპება. სწორედ ამ სევდიან ეპიზოდს მოჰყვება მაყურებლის გამოცოცხლება, რადგან იმედი ეძლევა, რომ იქნებ ახლა მაინც მოხდეს ეკრანზე რამე ხეირიანი... ამ მომენტში ბევრს შესაძლოა შარშანწინდელი "ცხოვრება ვარდისფერშიც" გაახსენდა, შესანიშნავი ბიოგრაფიული ფილმი ედიტ პიაფზე. ამ ფილმშიც არის ეპიზოდი, როდესაც მომღერალს საყვარელი მამაკაცის დაღუპვის შესახებ აუწყებენ, რასაც ფილმის ერთ-ერთი საუკეთესო ეპიზოდი მოსდევს: სასოწარკვეთილი ედიტ პიაფი ოთახის კედლებს აწყდება, მთელ სახლში დარბის იმის იმედით, რომ რომელიმე ოთახში ცოცხალი საყვარელი მამაკაცი დახვდება და უცებ ნამდვილი ფოიერვერკი იწყება - უწყვეტ კადრს პიაფი სცენაზე გაჰყავს, სადაც გლოვის სიმღერას ასრულებს. აქ კი მსგავსი არაფერი ხდება, პირიქით, შანელის როლის შემსრულებელი ოდრი ტოტუ იმდენად უსუსურ თამაშს გვთავაზობს, რომ მაყურებელი ძნელად ხვდება შემდეგ ეპიზოდში რას აკეთებს - ძაძებს იკერავს თუ უბრალოდ შავ ნაჭერზე ცარცით ხატავს.

ალბათ ჯობდა, ფილმის ავტორებს შანელის ახალგაზრდობისთვის ნაკლები დრო დაეთმოთ და ყურადღება იმ გზაზე გაემახვილებინათ, რისთვისაც ეს ქალბატონი საინტერესო გახლდათ. ეს წმინდა სანახაობრივი თვალსაზრისითაც უფრო მომგებიანი იქნებოდა - ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ცხენზე უხეიროდ მოჯირითე და მანქანის სალონში სიყვარულით დაკავებულ კოკო შანელზე საინტერესო ის უფროა, რამაც ეს დიდებული ქალბატონი ლეგენდად აქცია.

ზნეობის დამცველები მარკესის წინააღმდეგ

გაბრიელ გარსია მარკესის ნაწარმოების ეკრანიზაცია შეჩერდა

მექსიკაში პროსტიტუციასთან ბრძოლის ისეთი მძლავრი ორგანიზაცია ჰქონიათ, ზოგ პოლიტიკურ პარტიას მუშაობის დახვენის მხრივ კონსულტაციების გავლაც კი შეუძლია. ორგანიზაციის აქტივისტებს მხოლოდ ერთი საჩივრის დაწერა დასჭირდათ იმისთვის, რომ ქვეყნის ხელისუფლებას თვით გაბრიელ გარსია მარკესის ნაწარმოების ეკრანიზაციის დაფინანსება შეეწყვიტა, რასაც პროექტის შეჩერებაც მოჰყვა. ფილმის შემქმნელებს კი ისღა დარჩენიათ, დაფინანსების ალტერნატიული წყალო ეძებონ.

ამ ამბავმა უკვე მოიარა მსოფლიო პრესა, თუმცა არსად ჩანს თავად მარკესის კომენტარი. როგორც ცნობილია, ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი საკუთარი ნაწარმოებების ეკრანიზაციის მიმართ ყოველთვის სკეპტიკურადაა განწყობილი და ყველანაირად ცდილობს, მისი პერსონაჟები ეკრანზე არ მოხვდნენ. თუმცა როგორც ჩანს ხანდახან მაინც თმობს. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც და მექსიკელმა რეჟისორმა რიკარდო დელ რიომ დიდი ხნის მუშაობის შედეგად მაინც მოიპოვა მარკესის ბოლო რომანის, ‹ჩემი სევდიანი მეძავების გახსენებისას› ეკრანიზაციის უფლება. ეს ამბავი იმთავითვე მოინათლა სენსაციად და მსოფლიომ მარკესის ნაწარმოების ახალი ეკრანიზაციის ლოდინი დაიწყო, თუმცა ამაოდ.

საქმე ისაა, რომ ‹ჩემი სევდიანი მეძავების გახსენების› მთავარი გმირს, 90 წლის მოხუცს საკუთარი თავისთვის დაბადების დღის საჩუქრად 14 წლის ქალწულთან გატარებული ღამის მიძღვნა სურს. მთავარ პრობლემას სწორედ ეს პაპაჟი ქმნის - ფილმის გადაღების წინააღმდეგ საჩივარი მექსიკის პროსტიტუციასთან ბრძოლის ორგანიზაციის სწორედ იმ ქვეგანყოფილებამ შეიტანა, რომელიც ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში ქალებისა და პატარა გოგონებით ვაჭრობის წინააღმდეგ იბრძვის. ორგანიზაციის წარმომადგენელთა აზრით კი ფილმის სიუჟეტი პედოფილიის გავრცელებას შეუწყობს ხელს. ‹წიგნისგან განსხვავებით ფილმი გაცილებით დიდი აუდიტორიისთვისაა ხელმისაწვდომი. დროთა განმავლობაში ეს ფილმი დიდი ეკრანიდან სატელევიზიო ეთერში გადაინაცვლებს და უფრო მეტი ხალხი ნახავს. ამას კი ვერაფრით დავუშვებთ, რადგან ჩვენი ორგანიზაცია წლების განმავლობაში იბრძვის ამ სიბინძურის გავრცელების წინააღმდეგ. გაწეულ შრომას წყალში ვერ ჩავყრით›, - ნათქვამია ორგანიზაციის მექსიკის პროკურატურისთვის წარდგენილ საჩივარში.

საკუთარი კონტრარგუმენტები აქვს ფილმის რეჟისორს. იგი აცხადებს, რომ ნაწარმოებისგან განსხვავებით ფილმში გოგონას ასაკი ნახსენები არ იქნებოდა, გარდა ამისა, მისი როლი სრულწლოვან მსახიობს ანა დე არმასს უნდა შეესრულებინა.

მას შემდეგ რაც მექსიკის მთავრობამ მომჩივანთა პრეტენზია დაკმაყოფილა, პროექტის განხორციელებას იმის გამო შეექმნა პრობლემები, რომ ფილმის დაფინანსების დიდი წილი სწორედ მასზე მოდიოდა. მარცხის მიუხედავად რიკარდო დელ რიო დანებებას არ აპირებს და დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს მოიძიებს: ‹ეკრანიზაციის უფლების მოპოვებას იმდენი დრო და ენერგია შევალიე, ფილმის გადაღებაზე უარს არავითარ შემთხვევაში არ ვიტყვი›.

‹ჩემი სევდიანი მეძავების გახსენებისას› გაბრიელ გარსია მარკესის ბოლო რომანია. იგი 2004 წელს გამოსცეს და როგორც ამ ავტორის შემთხვევაში ხდება ხოლმე, უკვე თარგმნეს მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულადაც. წიგნს საინტერესო ისტორია ჰქონდა ირანში. ჯერ იყო და სათაურში ‹მეძავები› სიტყვა ‹ნაზებით› ჩაანაცვლეს, გამოცემიდან ერთ კვირაში კი მისი გაყიდვა მთელ ქვეყანაში აიკრძალა, გამომცემლებს კი სერიოზული პრობლემები შეექმნათ.

გაბრიელ გარსია მარკესის ნოველებისა თუ რომანების მიხედვით ძალიან ცოტა ფილმია გადააღებული. მათი უმეტესობა სატელევიზიო პროექტებს წარმოადგენს და ძირითადად მწერლის სამშობლოში ან ლათინური ამერიკის ქვეყნებშია განხორციელებული. ყველაზე ცნობილია ფრანჩესკო როსის 1987 წლის ფილმი ‹გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა›, რომელშიც მთავარ როლებს ორნელა მუტი, რუპერტ ევერეტი და ენტონი დელონი თამაშობენ. შარშან კი ეკრანებზე მაიკ ნიუველის ‹სიყვარული ქოლერას დროს› გამოვიდა ჰავიერ ბარდემითა და ბენჯამინ ბრატით მთავარ როლებში.

ზუგდიდიდან ერევანში, ანუ "ოსვენციმი" უკვე ქართულ სცენაზეც...

ლაშა ჩხარტიშვილი

2008-2009 წლების თეატრალური სეზონის მიწურულს საქართველოს რეგიონალური თეატრები განსაკუთრებით გამოცოცხლდნენ... ფოთის, ოზურგეთის, რუსთავის, ბათუმის და ზუგდიდის დრამატულ თეატრებში მთელი ზაფხულის განმავლობაში სარეპეტიციო პროცესი მიმდინარეობდა. ნაწილმა პრემიერები უკვე გამართა, ნაწილი თეატრებისა კი - მაყურებლთან შესახვედრად ემზადება.

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ზაფხულის პერიოდში პრემიერის გამართვაც შეძლო და ახლახან საპრემიერო სპექტაკლით ერევნის საშემსრულებლო ხელოვნების VII საერთაშორისო თეატრალური ფესტივალიდან - high fest" - კმაყოფილიც დაბრუნდა. (საქართველოს საერთაშორისო თეატრალურ ფორუმზე წელს მხოლოდ ზუგდიდის დრამატული თეატრი წარმოადგენდა). ფესტივალზე ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი გოგიამ AUSCHWITZ-ი წარმოადგინა. სპექტაკლს, რომელიც ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილი ებრაელის ტრაგედიას ეხება, საფუძვლად დაედო თანამედროვე დრამატურგის დევიდ ზენ მაიროვიცის რადიო პიესა, სახელწოდებით ფერფლის პლანეტა". ამ დადგმის პრემიერა ზუგდიდის თეატრში გასული თეატრალური სეზონის დასასრულს, 14 აგვისტოს შედგა. აღსანიშნავია, რომ დევიდ ზენ მაიროვიცის ნაწარმოები საქართველოში პირველად დაიდგა.

რაც შეეხება უშუალოდ სპექტაკლს: წარმოდგენამ თეატრალური მაყურებელის ინტერესი გამომსახველობითტექნიკური გადაწყვეტის თვალსაზრისით გამოიწვია. რეჟისორმა ირაკლი გოგიამ დამსწრენი სცენაზე განათავსა და ისინი, პროექტორისა და ეკრანის საშუალებით, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებაში ჩართო. შემოქმედებითი ჯგუფი და მაყურებელი მან გააერთიანა იმისათვის, რომ მათთვის დღემდე მოუშუშებელი იარები განეახლებინა და ერთი ებრაელის მაგალითზე ეჩვენებინა ის, თუ რამდენად გაუსაძლისი იყო სიცოცხლე მაშინ, როდესაც ნაცისტები ბატონობდნენ".

სპექტაკლის მთავარი სათქმელი დიქტატურის, ძალადობისა და მისგან გამოწვეული შედეგების ჩვენებაა. მთელი სპექტაკლის განმავლობაში სცენის უკანა ფონზე განთავსებულ ეკრანზე სწორედ ძალადობის შედეგის ამსახველ კადრებს უჩვენებენ. აი, ამ ეკრანზე აღიბეჭდება სცენაზე მყოფი მაყურებლის განცდებიც და სახეებიც, რაც ორგვარად აღიქმება. ამ ხერხით ირაკლი გოგიამ გარდა იმისა, რომ მაყურებელი გათამაშებულ ამბავში ჩართო და თითოეულის დამოკიდებულება, განცდა სცენაზე გათამაშებულ ისტორიასთან კონტექსტში გვიჩვენა, ჩვენ, როგორც რეალური, ყოფითი "პერსონაჟები" მომხდარის ნაწილი გაგვხადა და ამით, შეიძლება ითქვას, რომ გვიბიძგა ისტორიის კუთვნილი პერსონაჟები გავმხდარიყავით. რეჟისორის მიერ შემოთავაზებული ასეთი ფორმა ქართული სცენისთვის უცხოა. ამ შემთხვევაში, ექსპერიმენტმა გაამართლა, რადგან გარეგნული ფორმა მისი შინაარსიდან და კონცეფციიდან გამომდინარეობდა.

ზუგდიდის თეატრის წარმოდგენა ანტისემიტური მოძრაობის თეატრალიზებული ფორმით ასახვაზეა აგებული, თუმცა ირაკლი გოგიას სპექტაკლი შორდება ამ კონკრეტულ პრობლემას და იგი განზოგადებულ სახეს იღებს იმ მონაკვეთიდან, როცა მოძრავი კამერით დაფიქსირებული მაყურებელთა სახეები სცენაზე დამონტაჟებულ ეკრანზე აღიბეჭდება.

ირაკლი გოგიას სპექტაკლში მიზანსცენები ქმედითია, ტექსტი მინიმუმამდეა შემცირებული, ხოლო ტექსტის ის ნაწილი, რომელსაც მსახიობები წარმოსთქვამენ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და არ გადმოსცემს გმირთა განცდებს. მოქმედ პერსონაჟთა ხასიათი მსახიობთა ქმედებაში და რეჟისორის მიერ შემოთავაზებულ მიზანსცენებში იკითხება.

სპექტაკლში ორი ახალგაზრდა მსახიობი მონაწილეობს: გოგი გუგუჩია (ეზრა გორელიკი) და ირაკლი სამუშია (ექიმი). ახალგაზრდა მსახიობები საათნახევრის განმავლობაში არ დუნდებიან, უფრო მეტიც, ისინი სცენიდან სპექტაკლის დასრულებამდე არ გადიან. მართალია, ახალგაზრდა მსახიობებს სამსახიობო ოსტატობა აკლიათ, მაგრამ ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ თავიანთი გმირების ხასიათები ნათლად გადმოსცენ. გოგი გუგუჩიას პერსონაჟი ნამდვილ გოლგოთას გადის, თუმცა იგი არ ეცემა და ფიზიკური დაძაბუნების მიუხედავად არ ნებდება ნაცისტ ჯალათს, რომელიც მას ექიმის სტატუსით მოევლინა.

თანამედროვე ქართულ თეატრში მეტყველების კულტურის დონე და მანერული ინტონაცია ძალზედ აქტუალური პრობლემაა. ზუგდიდელთა სპექტაკლში კი ეს პრობლემა მინიმუმამდეა დაყვანილი. ერთადერთი, რაც ამ მხრივ თვალშისაცემია, ეს ირაკლი სამუშიას დაბალი ტემბრის ხმაა. შთაბეჭდილება გრჩება, რომ მსახიობს უჭირს ხმამღლა საუბარი და იგი წვალობს.

მხატვარმა მარიკა კორკელიამ ზუგდიდის თეატრის ფართო სასცენო სივრციდან ინტიმური გარემო შექმნა. მან სცენის შუაგულში უამავი დახვრეტილი ებრაელის ფეხსაცმელი დაალაგა, რომელიც ნაგავსაყრელსაც ჰგავს და გვამთა მთასაც. სპექტაკლში კიდევ ორი უსულო პერსონაჟი მონაწილეობს: რაბი და მიმი, ისინი სამოქმედო სივრცეში დიდი, ადამიანისდარი თოჯინების სახით შემოიჭრებიან. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელზე ის სცენა, როცა გოგი გუგუჩიას პერსონაჟი რაბის თოჯინას მხრებზე ისე მოიკიდებს, როგორც მძიმე ჯვარს მაცხოვარი და მას ებრაული ნაციონალური მუსიკის თანხლებით მიათრევს. ამ სცენის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქორეოგრაფ ირინე კუპრავას, რომელმაც ებრაული ნაციონალური ცეკვა ისე დადგა, რომ იგი საკონცერტო ნომერს კი არ დაამსგავსა, არამედ შეეცადა მოძრაობით გამოეხატა ის განცდა და განწყობა, რომელმაც გუგუჩიას გმირში ამოხეთქა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცეკვა" დიდი დრამატიზმის გამომხატველია, ის მაინც ოპტიმისტურად იკითხება, რადგან ებრაელმა ნაცისტზე მორალურად გაიმარჯვა, ფიზიკური დამარცხება კი მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ექიმის პერსონაჟი - კოსტიუმის გადაწყვეტა სიმბოლურია, მაგრამ ეს სიმბოლიზმი მარტივია და ადვილია გასაშიფრად. საუბარია ექიმის პერსონაჟის ხასიათის ორ მხარეზე, ის გადაწყვეტილია ორ ფერში: შავსა და თეთრში, ანფასში ირაკლი სამუშიას გმირი თეთრშია გამოწყობილი, მას ექიმის უნიფორმა აცვია, ზურგიდან კი შავი, ნაცისტის პლაში მოსავს. ორმაგი კოსტიუმი ყველაზე უკეთ გამოხატავს გმირის გარეგნულ და შინაგან ბუნებას, მის ხასიათს, მსოფლმხედველობას და მისწრაფებებს. სპექტაკლის ფინალში რეჟისორი ხაზგასმით კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ექიმის ნამდვილ ფაშისტურ სახეს - მას ეზრა გორელიკი ექიმის უნიფორმას ჩამოახევს და ჩვენს წინ უკვე ნამდვილი გერმანელი ნაცისტი დგას.

ირაკლი გოგია მუდმივი ძიების პროცესშია, ხშირად მიმართავს ექსპერიმენტებს. მის ბოლო ნამუშევარში ამ ექსპერიმენტებმა უკვე კომპლექსური სახე მიიღო, თითქოს უკვე ნათელი გახდა ირაკლი გოგიას ექსპერიმენტული ხაზი. ოსვენციმში" ყველაზე უკეთ ერწყმის ფორმა და შინაარსი ერთმანეთს. სიუჟეტის განვითარების ხაზები გაცილებით ნათელია, ვიდრე მის წინანდელ სპექტაკლებში. შესაბამისად, ეს სპექტაკლიც რეჟისორის შემოქმედებით ბიოგრაფიაში წინგადადგმული ნაბიჯია.

12 ოქტომბერი

თეატრი

რუსთაველის თეატრი
"ჰამლეტი"
დასაწყისი: 19:45
მცირე სცენა
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"დოვინ-დოვენ-დოვლი..." ჩრდილების თეატრი
დასაწყისი: 17:00

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
პრემიერა
"მაკბეტი"
რეჟისორი დავით დოიაშვილი
დასაწყისი : 21:00

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"ღია გაკვეთილი"
დასაწყისი: 17:00

სასტუმრო "Radison Sas"
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"ჰეტეროფილი" Weimar Theatre, შვედეთი
დასაწყისი: 20:00

კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
"შერეკილები 2"
დასაწყისი: 20:00

კინო

რუსთაველი
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:00 14:00 16:00 18:00 20:00 22:00
"მექალთანე"
დასაწყისი: 12:30 14:30 16:30 18:30 20:30 22:15
"იდეალური გაქცევა"
დასაწყისი: 12:45 14:45 21:45
"აგენტი-ზღვის გოჭები"
დასაწყისი: 16:15 18:15 20:00
"მწარე სიმართლე"
დასაწყისი: 13:30 15: 17:30 19:30 22:00
"სუროგატები"
დასაწყისი: 12:15 14:15 16:15 18:15 20:15 22:15

ამირანი
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:15 14:15 16:15 20:15
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 18:00; 16:00; 20:00; 22:00
"აგენტი-ზღვის გოჭები"
დასაწყისი: 12:00 14:00
"ყველაფერი კარგად იქნება" 18:15 22:15

რუსთაველის თეატრის ფოიე
თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი
მირიან შველიძის თეატრალური ესკიზების გამოფენა
დასაწყისი: 16:30

ქარვასლა
II ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი "არტისტერიუმი"
საქართველოს ეროვნული მუზეუმი
გოეთეს ინსტიტუტი
New Art კაფე
კავკასიური სახლი
აბანოთუბანი
მონაწილე ქვეყნები: აშშ, არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ავსტრია, შვეიცარია, ჰოლანდია, პოლონეთი, ჩეხეთი, ირანი, თურქეთი, სამხრეთ კორეა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლატვია, ირლანდია, რუსეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია.

ცვლილებები კონსტიტუციაში თუ კონსტიტუციურ სინამდვილეში?

ლევან იზორია
სამართლის დოქტორი
"თავისუფალი დემოკრატები"

რამდენიმე კვირაში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება კონსტიტუციური ცვლილებებისთვის შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგები. ოფიციალური განცხადებით ამ კომისიის შექმნა საქართველოში დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით იყო განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომისია მაღალკვალიფიციური იურისტებითაა დაკომპლექტებული, იბადება კითხვა, უპასუხებს კი კონსტიტუციური ცვლილებები ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მოლოდინს? არის კი ტექსტზე მუშაობა პრიორიტეტული, თუ სხვა უფრო პრაქტიკული პრობლემების მოგვარებაა მნიშვნელოვანი?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას თავად ღრმად პატივცემული კომისიის თავმჯდომარის ბ-ნი ავთანდილ დემეტრაშვილის მოსაზრებით დავიწყებ, რომელიც მან კომისიის მუშაობის დაწყების სტადიაზე საქართველოს პრეზიდენტთან სატელევიზიო საუბრის დროს დააფიქსირა. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციას უდიდესი სოციალური ფუნქცია გააჩნია და კონსტიტუციაში განსახორციელებელი ცვლილებებიც ამ ფუნქციის ჭრილში უნდა იყოს გააზრებული.

საკითხისადმი ასეთი სწორი მიდგომა კიდევ უფრო ამძაფრებს ზემოთდასმული კითხვის შინაარსს - არის კი მხოლოდ ტექსტში განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით, ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების გარანტი?

კონსტიტუციის სოციალური მნიშვნელობის გააზრება მის გლობალურ კონტექსტში აღქმას გულისხმობს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგადად დაწერილი სამართლის ნორმა და კონკრეტულად კონსტიტუცია თავის თავში არ მოიცავს განხორციელების უნარს. მისი აღსრულება პოლიტიკურ ნებაზე და დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობაზეა დამოკიდებული. შეიძლება დაწერილი ფორმით არსებობდეს კარგი კონსტიტუცია, მაგრამ სინამდვილეში სახეზე იყოს კლანური სტრუქტურები, არჩევნების გაყალბებისა და მანიპულაციის, სიტყვის თავისუფლების ხელყოფის, სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიზებისა და ა. შ. ტენდენციები. დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციის სოციალური ფუნქცია სწორედ მისი განხორციელების რეალურ პირობებზე აკეთებს აქცენტს, ანუ იმაზე, თუ რამდენადაა მისი პრინციპები (სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი, ძირითადი უფლებები, ხელისუფლების დანაწილება და ა. შ.) საზოგადოებაში თითოეულის უსაფრთხო, თავისუფალი და ღირსეული თანაცხოვრებისთვის განხორციელებული.

კონკრეტული ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი მარტო იმით კი არ განისაზღვრება რამდენად კარგი კონსტიტუციის ტექსტი აქვს მას, არამედ იმით, თუ რამდენად დამკვიდრდა და განხორციელდა მისი პრინციპები რეალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კონსტიტუციის სოციალური ფუნქციის გააზრება გულისხმობს მისი საზოგადოებაში მოქმედების წინაპირობების ცოდნას. დემოკრატიულ ქვეყნებში კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ კონსტიტუცია არის საზოგადოებაში ლეგიტიმაციის, იდენტიფიკაციისა და ინტეგრაციის საწინდარი.

დემოკრატიული საზოგადოებისთვის ლეგიტიმურია მხოლოდ ის ხელისუფლება, რომელიც კონსტიტუციით განმტკიცებულ ნორმებს რეალურად ახორციელებს. მარტო არჩევნების აქტით არ მთავრდება დემოკრატიული ლეგიტიმაცია, არამედ სწორად აქედან იწყება იგი, რაც ხელისუფლების ყოველდღიურ პასუხისმგებლობას უკავშირდება. ლეგიტიმაცია, ანუ საზოგადოების მხრიდან მორალური აღიარება არსებობს იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციის მთავარი მოთხოვნისთვის - ადამიანის ღირსეული და თავისუფალი არსებობისთვის - ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ოპტიმალური პირობებია უზრუნველყოფილი.

საბჭოთა მენტალობისგან განსხვავებით, რომლის მიხედვით, სახელმწიფო იერარქიულად საზოგადოებაზე მაღლაა მოაზრებული, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო აზროვნებისთვის ეს დიფერენციაცია მიუღებელია. დემოკრატიაში სახელმწიფო და საზოგადოება ერთიანია. შესაბამისად, სახელმწიფოს ინსტიტუტები საზოგადოების ნდობაზე და საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობაზეა დაფუძნებული.

დემოკრატიული საზოგადოების წევრები კონსტიტუციურ ნორმებთან და ღირებულებებთან (პირველ რიგში ძირითად უფლებებთან) ახდენენ საკუთარ იდენტიფიკაციას, ეს კი, საზოგადოების ინტეგრაციის წინაპირობაა. ცივილიზებულ სამყაროში მარტო სახელმწიფოს არ შეუძლია საზოგადოების ინტეგრაცია. ეს მხოლოდ ტოტალიტარულ და ავტორიტარულ სახელმწიფოშია შესაძლებელი, სადაც საზოგადოების ინტეგრაცია ზემოდან ძალისმიერად, დაშინებითა და მანიპულაციით ხორციელდება. ასეთი საზოგადოება იძულებით მორჩილებაში ყავთ. დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს შეუძლია საზოგადოების ინტეგრაციას ხელი შეუწყოს იმ თვალსაზრისით, რომ შექმნას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოქალაქის ინდივიდუალური, თუ კოლექტიური ფორმით თანამონაწილეობისა და საზოგადოებასთან დიალოგის პირობები. ეს კი, კონსტიტუციაში განმტკიცებული პრინციპების განუხრელი დაცვით არის შესაძლებელი.

კონსტიტუციის სოციალური ფუნქციის რეალიზება, ანუ საზოგადოების დემოკრატიული ინტეგრაციის პროცესის უზრუნველყოფა, პირველ რიგში, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. ეს განსაკუთრებით ეხება დემოკრატიის ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფ ქვეყნებს. ამ ქვეყნებში, უწინარესად, კარგ მართვაზეა დამოკიდებული, რომ შეიქმნას სინამდვილეში სიტყვის თავისუფლების, ხელისუფლების დანაწილების, სამართლიანი არჩევნების და ა.შ. აუცილებელი წინაპირობები. სწორედ ამ წინაპირობების უზრუნველყოფა განსაზღვრავს მთელი საზოგადოებრივი პროცესების რეგულირების სამართლიან ხასიათს, ამ პროცესებში მონაწილე თითოეული სუბიექტის ცივილიზებული ქცევის წესებს, ანუ საბოლოოდ, მთელი საზოგადოების სამართლებრივ კულტურას და დემოკრატიულ ინტეგრაციას.

საზოგადოების ინტეგრაცია და კონსოლიდაცია, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციაში ასახული დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპების შესაბამისი ინსტიტუციონალური ინფრასტრუქტურის შექმნით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, საქართველოში მთავარი ამოცანა არის დამოუკიდებელი სასამართლო და საჯარო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება. რეფორმები იმ საწყისებიდან უნდა დაიწყოს, რითაც დაიწყო განვითარებულ ქვეყნებში თანამედროვე სახელმწიფოს შექმნა, კერძოდ, პოლიტიკისგან დამოუკიდებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებით, როგორიცაა, არჩევნების თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების, ძალაუფლების დემოკრატიული ბალანსის, სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფა, დამოუკიდებელი სასამართლო და საჯარო ადმინისტრაციის ჩამოყალიბება.

ამდენად, კონსტიტუციის განხორციელება თოთოეული ერის პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ სინამდვილეზეა დამოკიდებული. კონსტიტუცია ამ სინამდვილის ნაწილია.

აღნიშნული სინამდვილის გაუთვალისწინებლად კონსტიტუციონალური ცვლილებებისადმი პოზიტიური მოლოდინი გადაჭარბებულია. თავად ის ფაქტი, რომ კომისია მმართველობის რამდენიმე მოდელზე მუშაობს ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციურ ცვლილებებთან, მათ შორის მმართველობის ფორმებთან დაკავშირებული საკითხები, ტექნიკური საკითხებია, რადგან დემოკრატია მუშაობს, როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო რესპუბლიკაში. პირველხარისხოვანი დემოკრატიის განვითარებისთვის არის კონსტიტუციაში განმტკიცებული პრინციპების განხორციელების საკითხი, კერძოდ, სამართლიანი საარჩევნო გარემოს, თავისუფალი მედიის, სასამართლოსა და საჯარო ადმინისტრაციის პოლიტიკისგან ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საკითხი.

ამ სინამდვილის გარეშე მომავალშიც პოლიციური სახელმწიფო გვექნება, სადაც კონსტიტუცია და მასში განხორციელებული ცვლილებები იქნება ხელისუფლების ძალაუფლებისთვის ინსტრუმენტალიზირებული და იგი ვერ იქნება საზოგადოების დემოკრატიული ინტეგრაციის საფუძველი. შესაბამისად, ვერ შეასრულებს კონსტიტუციის ახალი ტექსტიც იმ სოციალურ ფუნქციას, რომელიც მისთვის დემოკრატიულ სახელმწიფოშია ტიპიური. რაც არ უნდა დახვეწილი იყოს კონსტიტუციის ახალი ტექსტი, მნიშვნელობა ეკარგება მის პრინციპებს, თუ ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში გაგრძელდება სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენის, პოლიტიკური მოწინააღმდეგის დევნის, არჩევნების მანიპულაციის და გაყალბების, საკუთრების ხელყოფის, სახელმწიფო ინსტიტუტების საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების, ტელემაუწყებლობის კონტროლის და სხვა მანკიერი მოვლენების პრაქტიკა, რომელიც ახალ კონსტიტუციასაც დაუკარგავს თავის რეალურ ფუნქციებს.

ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2009 წლის 28 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში
დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი – საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალები

განცხადების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვაზე 8 ლოტად.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	კარტრიჯი hp 5035 მოდელისათვის თავსებადი	ცალი	400
2	კარტრიჯი hp 1010 მოდელისათვის თავსებადი	ცალი	500
3	კარტრიჯი hp 1505 მოდელისათვის თავსებადი	ცალი	500
4	კარტრიჯი hp 1005 მოდელისათვის თავსებადი	ცალი	450
5	კარტრიჯი xerox phazer 3125 მოდელისათვის თავსებადი	ცალი	500
6	კარტრიჯი xerox phazer 3200 მოდელისათვის თავსებადი	ცალი	200
7	კარტრიჯი ფერადი xerox 6280 მოდელისათვის თავსებადი	კომპლექტი	50
8	კარტრიჯი hp -6313 მოდელისათვის თავსებადი, ფერი შაფი	ცალი	30

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: ფაქსი: (+995 32) 261-337; 261-335.
საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge** და ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **i.tadiashvili@mof.ge**

სპორტი

დაუმარცხებელი ჩემპიონი

კახა ფაჩუაშვილი

"ლელო" საქართველოს ორგზის ჩემპიონია.

გიორგი ბასარიძის ფოტო

თბილისის "ლელო" საქართველოს ჩემპიონია! ლევან მაისაშვილის მორაგბეთა გუნდი წაუგებლად მივიდა მთავარ ფინალამდე და დამსახურებულად მოიპოვა ბზის თასი და ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები. "ლელო" ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა საქართველოს ორგზის ჩემპიონობამდე. გუნდმა შარშან ფინალში ითამაშა და ჩვენი ქვეყნის თასი მოიგო. წელს კი იმის გათვალისწინებით, რომ "ლელო" ახალგაზრდული გუნდია და კარგი მწვრთნელი ჰყავს, ხოლო მისი უმთავრესი კონკურენტი "ლოკომოტივი" ასაკოვანი მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული, "ვისოლი-ყოჩებს" კი ნამდვილად არ უდგას საუკეთესო წლები, "ლელო" თავიდანვე ტურნირის ფავორიტად მიიჩნეოდა.

მაისაშვილის მორაგბეები ქართული გუნდებისთვის არადამახასიათებელ რაგბს ქადაგებენ. "ლელოს" მთავარი კოზირი ხაზია. სწრაფი სამმეოთხედელები, რომლებიც ფლანგებიდან უნარიანად უტევენ და მთლიანად შლიან მეტოქის დაცვით სისტემას. ამ ხერხით დაამარცხა "ლელომ" ყველა მეტოქე მთავარ ფინალამდე და ამავე ტაქტიკით აპირებდა "ბათუმთან" ანგარიშის გასწორებას, მაგრამ ისე არ გამოუვიდა, როგორც სურდა. თუმცა საბოლოო მიზანს მაინც მიაღწია.

"ბათუმი XV" ახალი გუნდია. მას გამოცდილი ქართველი სპეციალისტი ლევან მგელაძე წვრთნის. გუნდი შარშანდელ სეზონში გადავიდა საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, ამიტომ მისი ფინალისტობა ბევრს გაუკვირდა, მაგრამ მგელაძემ, სადაც იმუშავა ყველგან წარმატებას მიაღწია. მისი ხელმძღვანელობით ბათუმის "დათვებმა" ქვეყნის ჩემპიონატი და თასი მოიგეს. შემდეგ იყო ჩეხეთი, რომელიც მგელაძემ სარაგბო სამყაროში დააწინაურა და ერთა თასის B ჯგუფშიც კი ათამაშა. წელს ბათუმში დაბრუნდა და უკვე "ბათუმი XV"-ს ჩაუდგა სათავეში, რომელიც უმაღლეს ლიგაში დააწინაურა და ქვეყნის ჩემპიონატის ფინალშიც გაიყვანა. ამ ფონზე. უკვე აღარავის უკვირს, რომ მგელაძის გუნდმა ფინალში ითამაშა.

ბათუმის ფინალისტობა იმდენად დიდი სიურპრიზი იყო, რომ სპეციალისტების ნაწილი მას "ლელოს" წინააღმდეგ სამარცხვინო მარცხსაც კი უწინასწარმეტყველებდა. ლევან მაისაშვილმა ფინალისთვის ტრადიციული ტაქტიკა აირჩია. ხაზის მოთამაშეების სწრაფ, ფლანგურ გარღვევებს უნდა მოეშალა ბათუმელთა დაცვის სისტემა. "ლელოს" სხვა საშუალება არც ჰქონდა. ბათუმის შერკინება ძალ-ღონით აღემატებოდა თბილისელებისას ამიტომ მიძალებას აზრი ეკარგებოდა. ლევან მგელაძის გუნდმა კი მეტოქეს სივრცე შეუზღუდა. ბათუმელები კარგად აზღვევდნენ ერთმანეთს და მეტოქეს ხაზის გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ. მინდორზე დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ასეთ შეუპოვარ შერკინებას სხვანაირად დაცემამდე ბრძოლას უწოდებენ ხოლმე და მიხეილ მესხის სტადიონზე სწორედ ასეთი მატჩის მომსწრენი გავხდით.

თამაშის ხასიათიდან გამომდინარე გუნდებმა ლელოს გატანა ვერ მოახერხეს და ასეთ პირობებში მატჩის ბედი შეცდომებს უნდა გადაეწყვიტა. შეცდომები კი პირველ ტაიმში გუნდებმა თანაბრად დაუშვეს. ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ "ლელომ" ორი შეცდომა გამოიყენა, ბათუმმა კი ერთი და შესვენებაზე გუნდები ანგარიშით - 6:3 გავიდნენ "ლელოს" სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი არ შეცვლილა. უბრალოდ ბათუმელებმა მეტოქეზე მეტი შეცდომა დაუშვეს, რომლებიც ირაკლი ყიასაშვილმა კარგად გამოიყენა და "ლელო" 9 ქულის სხვაობით დააწინაურა. ეს უკვე გამარჯვება იყო. 15:6 - "ლელოს" სასარგებლოდ.

ლევან მაისაშვილი ("ლელოს" მთავარი მწვრთნელი): უაღრესად დაძაბული მატჩი იყო. მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა და სივრცეები შეგვიზღუდა, რამაც არ მოგვცა საშიალება ჩვენი თამაში გვეჩვენებინა. "ბათუმი XV" წლევანდელი სეზონის ნამდვილი აღმოჩენაა და მინდა ლევან მგელაძეს მივულოცო ასეთი კარგი გუნდი რომ ჰყავს".

ლეცან მგელაძე ("ბათუმი XV"-ის მთავარი მწვრთნელი): წლევანდელ სეზონში, ისევე, როგორც ამ კონკრეტულ მატჩში, რაც შეგვეძლო გავაკეთეთ. შია სეზონში გუნდიდან 25 მორაგბე გავუშვით. გუნდი განვაახლეთ და მთავარ ფინალშიც ვითამაშეთ. ფინალში კი უკვე უხეში შეცდომები დავუშვით. ალბათ, თვითონ ნახეთ, რომ რამდენჯერმე მოედნის ცენტრში მაშინ დავჯარიმდით, როცა ბურთს ვფლობდით და ჩვენი შეტევები იშლებოდა. მეტოქე კი კარგად იყენებმა ჯარიმებს და ამიტომაც დავმარცხდით. "ლელოს" ვულოცავ დამსახურებულ გამარჯვებას. რაც შეეხება ჩემს მომავალს, წლის ბოლოს ბათუმთან კონტრაქტი მიმთავრდება და რას გავაკეთებ, ჯერჯერობით ვერ გეტყვით".

გია ნიჯარაძე (საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი): მინდა რაგბის ქართველ გულშემატკივარს მივულოცო დღევანდელი სარაგბო ზეიმი. გუნდებმა ძალიან ხარისხიანი თამაშ შემოგვთავაზეს. ბათუმის გუნდზე კი სიტყვები არ მყოფნის, რომ შევაქო. ლევან მგელაძემ შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბა და თავადაც ნახეთ რა წინააღმდეგობა გაუწია ტურნირის ფავორიტად შერაცხულ "ლელოს". ასეთი მატჩები უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში რაგბის განვითარებისთვის. მით უფრო ახლა, როცა რაგბი სპორტის ოლიმპიური სახეობა გახდა".

"ლელო" - "ბათუმი XV" 15:6

ლელო: ირაკლი მირცხულავა, ირაკლი ჭყონია (გიორგი სანიკიძე), მიხეილ სუჯაშვილი, დავით დაუშვილი (ლევან მძინარიშვილი), ლაშა აზალაძე, ილია მაისურაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ლექსო იორდანაშვილი (დავით ჯალაღონია), გიორგი, კაჭარავა, ლაშა ხმალაძე, ალექსანდრე თოდუა, გიორგი ლომინაძე, მიხეილ კორკელია, უჩა მჭედლიშვილი, ირაკლი ყიასაშვილი.

5 ჯარიმა: ყიასაშვილი

სინბინი: კორკელია

"ბათუმი XV": მინდია ღლონტი (ვახტანგ შენგელია), რობერტ აბესლამიძე, სერგო მოქია (ჯაბა დიაკონიძე), კახა კუნჭულია (ლაშა დუმბაძე), როლანდ ბერიძე, დავით გუგუშვილი, გიორგი თხილაიშვილი, გელა სირბილაძე, ზურაბ კიკაჩეიშვილი, მამუკა ნინიძე, იოსებ ცისკარიშვილი (რუსლან ოქროპირიძე), გოჩა ხონელიძე, თორნიკე აშვეთია, ბადრი ევგენიძე, გიორგი სვინტრაძე.

2 ჯარიმა: ნინიძე

სინბინი: სირბილაძე

მთავარი მსაჯი: მათიე რეინალი (საფრანგეთი).

შვიდკაცა რაგბი ოლიმპიური სახეობაა

გასული კვირა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ მსორფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩებით არამდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომით, რომელიც დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართა და რომელზეც გოლფი და შვიდკაცა რაგბი ოლიმპიურ სახეობებად აღიარეს. 2016 წლის რიოს ოლიმპიადაზე ორივე ეს სახეობა უკვე წარმოდგენილი იქნება.

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე ოფიციალურად დამტკიცდა, რომ შვიდკაცა რაგბი და გოლფი 2016 წლის ოლიმპიადაზე იქნებიან შეტანილნი.

თავდაპირველად, ოლიმპიადაზე პრეტენზიას რაგბი-7, გოლფი, სქვოში, გორგოლაჭებით რბოლა, კარატე, სოფტბოლი და ბეისბოლი აცხადებდნენ, თუმცა, ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა კომიტეტმა რეკომენდაცია თავში ხსენებულ ორ სახეობას მისცა, რაც კონგრესზეც გაზიარებულ იქნა.

ოლიმპიურ თამაშებზე გოლფის დაშვებას ხმა კომიტეტის 63-მა წევრმა მისცა, წინააღმდეგ - 27-მა, 2-მა კი თავი შეიკავა. რაგბთან მიმართებაში მაჩვენებლები ასე გამოიყურება - 81-8-1.

ბოლო კალათას ავცდით

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სრული ფიასკო განიცადა და ჯგუფში ბოლო ადგილიც გარანტირებული გვაქვს, 2012 წლის ევროპის ჩემპიტნატის შესარჩევი ციკლის ჯგუფური ეტაპის ზწილისყრისას ბოლო მეექვსე კალათაში არ ვიქნებით განთესილები.

ევრო-2012-ის შესარჩევი ციკლის ფორმატი წარმოადგინა. ცხადია, ჩემპიონატის მასპინძლები - პოლონეთი და უკრაინა - ავტომატურად გავლენ ტურნირზე, დანარჩენი 51 ნაკრები კი 9 ჯგუფში გადანაწილდება. ამ ცხრიდან 6 ჯგუფი ექვსგუნდიანი იქნება, 3 კი - ხუთგუნდიანი. ჯგუფის გამარჯვებულები და ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი პირდაპირ გავლენ ჩემპიონატზე, დანარჩენი 8 მეორეადგილოსანი კი პლეი-ოფით გაარკვევს 8 ბედნიერს. შედეგად, 14 რჩეული გაირკვევა, რომლებიც ფინალურ ეტაპზე შეუერთდებიან პოლონეთ-უკრაინას.

საქართველო, სავარუდოდ, მე-5 კალათაში მოხვდება, მე-6 კალათაში კი, 6 გუნდი იქნება - სადღეისო მონაცემებით, ლიხტენშტეინი, ფარერის კუნძულები, ლუქსემბურგი, მალტა, ანდორა და სან-მარინო.

ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა შვიდ თებერვალს ვარშავაში გაიმართება.

თერიმმა მივდივარო

თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრნელი ფათიხ თერიმი თანამდებობას 14 ოქტომბერს სომხეთთან გასამართი მატჩის შემდეგ თანამდებობას დატოვებს.

თურქებმა მუნდიალ-2010-ზე გასვლის ისედაც მცირე შანსი ბელგიელებთან დამარცხების შემდეგ მთლიანად დაკარგეს.

სწორედ ამის გამო გადაწყვიტა ნაკრებიდან წასვლა. ოთხშაბათს გულშემატკივრებს დავემშვიდობები. თურქეთის ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ჩემთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკება კი სცადეს, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს - თქვა თერიმმა.

"ჯენოამ" კუარეშმას დაადგა თვალი

იტალიურ კლუბ ჯენოას მესვეურენბი პორტუგალიელი შემტევის რიკარდო კუარშმას შეძენას ლამობენ.

ჯენოელებს პირენეელის შეძენა ჯერ კიდევ ზაფხულში სურდათ, მაგრამ მხარეებმა ფეხბურთელის ფასთან დაკავშირებით "ოქროს შუალედი" ვერ გამონახეს. ამჯერად კლუბის შეფებს იმედი აქვთ, რომ კვარეშმას შეძენას იანვრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში მაინც მოახერხებენ და საამისოდ თადარიგი აქედანვე დაიჭირეს.

რაზე ოცნებობს კარლიტო?

ლონდონის „ჩელსის“ იტალიელი მწვრნელის კარლო ანჩელოტის განცხადებით მას კარიერის გნაგრჟელება ან „რომაში“ ან კიდევ იტალიის ნაკრებში სურს,ამის თაობაზე იტალიელმა სპეციალისტმა ჟურნალისტებს განუცხადა, არადა ერთი კვირის წინ კარლიტო ამბობდა, რომ „ჩელსის“ შემდეგ კარიერას დაასრულებს.

„რომაში დაბრუნებას ვისურვებდი, რადგან ამჟამად ეს ერთადერთი კლუბია, რომელშიც „ჩელსიდან“ წასვლის შემდეგ მუშაობის სურვილი მექნება. მართალია კიდევ არის გუნდი, რომლის თავკაცობასაც ვისურვები, ეს იტალიის ნაკრებია. ვიცი, რომ ამ შემთხვევაში ეროვნულ გუნდში კასანოს გამოვიძახებდი“, - ამბობს ანჩელოტი.

„არისტოკრატთა“ დამრიგებელმა თავის ყოფილ კლუბში, „მილანში“ შექმნილ ვითარებაზეც გაამახვილა ყურადღება: „ვფიქრობ, კაკას წასვლის შემდეგ გუნდმა მოტივაცია დაკარგა. რაც შეეხება რონალდინიოს, მისი პრობლემა ადვილად გადასაწყვეტია - ბრაზილიელს უფრო მეტი ვარჯიში ესაჭიროება“.

პალოსკიმ საკუთარი თავი შეაფასა

იტალიური „პარმას“ ახალგაზრდა ფორვარდი ალბერტო პალოსკი, რომელიც პარმულ კლუბში „მილანიდან“ არის განათხოვრებული, თვლის, რომ ჯერჯერობით „როსონერის“ პრობლემების გადასაჭრელად მზად არაა.

„ვგრძნობ, რომ „მილანში“ სათამაშოდ მზად არ ვარ. თავდაუზოგავად შრომა უნდა განვაგრძო, რათა მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მქონდეს და ამიტომ, ვფიქრობ იანვარში მილანურ კლუბში დაბრუნება ადრეა. შესაძლოა, სეზონის ბოლოს ვითარება შეიცვალოს. ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის ჩემი თამაშის სრული სურათი მაინც შეიქმნება“ -განაცხადა პალოსკიმ.

ვალვერდეს ნდობა გამოუცხადეს

მიუხედავად იმისა, რომ „ვილიარეალმა“ ამ სეზონში საკმაოდ სუსტი სტარტი აიღო, კლუბის პრეზიდენტი ფერნანდო როიგი სრულ ნდობას უცხადებს „ვილიარეალის“ მთავარ მწვრნელ ერნესტო ვალვერდეს. „პირველყოვლისა, ერნესტო არის მწვრთნელი, რომელიც მიმდინარე მოვლენებს კარგად აღიქვამს. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ არსებულ ვითარებაში ის გუნდის მართვას ახერხებს. თუ შევამჩნევ, რომ მას მუშაობისას გარკვეული პრობლემები შეექმნება, მაშინვე შევცვლი ან რაიმე მითითებას მივცემ. დღესდღეობით, მის მიმართ პრეტენზია არ მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ვალვერდე გუნდის კრიზისიდან გამოყვანას შეძლებს“ -განაცხადა როიგმა.

″რეალს″ ფაბრეგასი კვლავ გაახსენდა

მადრიდის „რეალი“ სესკ ფაბრეგასის გადაბირებას ლამობს. ესპანუცრი მედიის ინფორმაციით ზაფხულში „სამეფო კლუბი“ სერიოზულ კოუნკურენციას გაუწვეს „ბარსელონას“ ფაბრეგასის შესასყიდად. მადრიდელები მზად არიან, ევროპის 2008 წლის ჩემპიონში 50 მილიონი გირვანქა გადაიხადონ, მაშინ როდესაც კატალონიელები ფაბრეგასის სანაცვლოდ „მეთოფეებს“ ზემოთხსენებულზე ორჯერ ნაკლებ თანხის სთავაზობენ.

″სიტის″ რიბერი მოუნდა

მთელი ზაფხულის განმავლობაში „რეალი“ ფრანკ რიბერის გადაბირებას ცდილობდა, ახლა „სამეფო კლუბს“ „მანჩესტერ სიტის“ სახით კონკურენტი ეყოლება. ბრიტანული მედიის ინფორმაციით „ქალაქელები“ მზად არიან, 26 წლის ფრანგი ფეხბურთელის სანაცვლოდ, ბავარიულ კლუბს 65 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. ამ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, მანჩესტერელები მათ მიერვე დამყარებულ ბრიტანულ რეკორდს გააუმჯობესებენ. შეგახსენებთ, რომ „სიტიმ“ რობინიოს სანაცვლოდ მადრიდის „რეალს“ 32,5 მილიონი გირვანქა გადაუხადა.

″ვალენსიას″ მოტას შენარჩუნება სურს

ესპანური „ვალენსიას“ ხელმძღვანელობა გუნდის ნახევარმცველ ხუან მატასთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებს. „კლუბის ხელმძღვანელობას ყოველთვის ვენდობოდი და მათ სიტყვა მომცეს. ზაფხულში „ვალენსიას“ არცთუ კარგი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა და ამიტომ, კონტრაქტის დეტალების განხილვა გადავდეთ. ამჟამად, მოლაპარაკება განახლდა და გამეხარდება, თუკი „ვალენსიაში“ მრავალი წლის განმავლობაში დავრჩები“ -განაცხადა მატამ.

ღირსებაააყრილნი

მიხეილ აბაიშვილი

მონტენეგრომ პირველი გამარჯვება სწორედ საქართველოს ნაკრებთან მოიპოვა.

ერთმა ჩემმა მეგობარმა გუშინწინ რესტორანში 20-კაციანი ქეიფი მოიგო. სანაძლეო, რომლის წყალობითაც ამ ჯილდოს მოგება გახდა შესაძლებელი, ზუსტად ნელიწადის და სამი თვის წინ, 2008 წლის აგვისტოში დაიდო და ფეხბურთში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უკავშირდებოდა. ნიძლავის პირობა ასეთი იყო - საქართველოს ნაკრები აწ თითქმის დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ერთზე მეტ თამაშს მოიგებდა თუ ვერა. მიხვდებით ალბათ, რომ ჩემმა მეგობარმა პესიმისტურ პროგნოზზე გააკეთა ფსონი და თქვა, რომ ჩვენები ციკლში ერთზე მეტ თამაშს ვერ მოიგებდნენ. სანაძლეოს დადებას მეც ვესწრებოდი და ეგრეთ წოდებული "ჩაჭრის" შემდეგ ჩემს მეგობარს ვკითხე - რა იყო ბიჭო, ქართველი არ ხარ? რამ გაფიქრებინა, რომ ჩვენები ერთზე მეტჯერ ვერ მოიგებენ მეთქი. იცით რა მიპასუხა? "თავს ვიზღვევ, თორემ იმ ერთსაც ვერ მოიგებენ. ამათ ხომ ღირსების გრძნობა არ გააჩნიათ, ღირსებააყრილი ეროვნული ნაკრები კი ღირსების არმქონე არმიასავითაა, რომელიც არა თუ ომს, ერთ ბრძოლასაც ვერ მოიგებს. მაშინ ირონიულად გამეცინა და ვუთხარი - ჯარი და ომი არ ვიცი, მაგრამ წელიწადნახევარში, ან გაცილებით ადრე რესტორნის კისრება მოგიწევს, უეჭველი. დღეს ჩემი მეგობარი რესტორნის შერჩევის პროცესშია. თან მეც დაპატიჟებული ვარ. აი საქართველოს ნაკრებმა კი, თავისი მთავარი მწვრთნელის, არგენტინელი სპეციალისტის, ექტორ რაულ კუპერის ხელმძღვანელობით ანტირეკორდების ახალი უფსკრულები დაიპყრო.

კუპერმა სრული კრახი განიცადა. იმაზე აღარ არის საუბარი, რომ ვერცერთი დაპირება ვერ შეასრულა - ეროვნულ ნაკრებს ბრძოლისუნარიანობის ნასახიც კი არ გააჩნია და შინ თუ გარეთ, ძლიერთან თუ სუსტთან, ზამთარში თუ ზაფხულში, კურტიზანი ქალივით სულ ქვეშ არის მოქცეული. ის, რომ ბოლო 14 შეხვედრაში გამარჯვება არ მოგვიპოვებია, უბედურების მხოლოდ ნაწილია. ანტირეკორდები კი შემდეგი ხასიათისაა: პირველი - ზუსტად ორი წელი შესრულდა, რაც საქართველოს ეროვნულ გუნდს ოფიციალურ შეხვედრაში 3 ქულა არ უზეიმია; მეორე - შესარჩევი ციკლი ისე სრულდება, რომ საქართველოს ნაკრებს სტუმრად კინკილა ქულაც კი არ მოუპოვებია; და მესამე - ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე საქართველოს ნაკრებს მხოლოდ 3 ქულა აქვს, რაც ყველა დროის ქართული სანაკრებო ანტირეკორდია. ამ შავ სტატისტიკას მძიმე მორალურ-ფსიქოლოგიური ტვირთიც სდევს თან. თქმა იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს წაგებულის ფსიქოლოგია მყარად ჩამოუყალიბდათ, ნიშნავს, რომ არაფერი სთქვა. ნაკრების ერთმა წევრმა მითხრა, როგორც კი კლუბის ჭიშკარს გამოიკეტავს და ეროვნულ გუნდში გამოეშურება, პირველ რიგში მარცხის წინათგრძნობა ეუფლება და გამარჯვების სასწაულის მოლოდინშია. ასეა: ჩვენი ნაკრებისთვის გამარჯვება მართლაც სასწაულის ტოლფასი გახდა. სასწაულის, რომელიც ჩვენს მწვრთნელ-ფეხბურთელებზე აღარანაირად არ არის დამოკიდებული და რაღაც "ტუნგუსის მეტეორის" მსგავსი უნდა ჩამოვარდეს, ეს ვითარება რომ შეცვალოს. კიდევ ერთი ანტირეკორდი ის გახლავთ, რომ კიდევ ერთი თამაში გვაქვს ჩასატარებელი - სოფიაში, ბულგარეთის ნაკრებთან, მაგრამ 100-0-იც რომ მოვიგოთ, ცხრილში უსამარცხვინოეს ბოლო საფეხურს ვერ დავტოვებთ, რის გამოც, მომდევნო - ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრას ყველაზე დაბალ - მე-6 კალათაში შევხვდებით, რაც ჩანასახშივე გვისპობს რაიმე წარმატებაზე ფიქრის იმედს. ეს კი ნიშნავს, რომ კუპერმა და მისმა გუნდმა არა მხოლოდ თავისი შესარჩევი ციკლი, არამედ, პრაქტიკულად, მომდევნო ციკლიც სტარტამდე ჩააგდეს, რაც ამ არგენტინელის მთავარი დანაშაულია.

თუმცა მარტო არგენტინელზე ჯოხის გადატეხვაც, რომელსაც თუნდაც პასუხისმგებლობის ლომის წილი აკისრია, არ იქნება მართალი. საერთოდ ნაკრების ზოგიერთი ვეტერანის საქმისადმი დამოკიდებულება და კეთილსინდისიერება კარგად უნდა იყოს გამოკვლეული. თუ მიმდინარე შესარჩევ ციკლს კარგად გავიხსენებთ, თამაშების უმეტესობაში იყო მთელი რიგი სიტუაციები, რაც კითხვის ნიშნებს ბადებს. ამ თვალსაზრისით არც, თუნდაც მონტენეგროსთან ჩატარებული თამაშია გამონაკლისი. არამც და არამც არ ვგულისხმობ იმ ფატალურ უიღბლობებს, კახა კალაძეს იტალიასთან დაპირისპირებაში რომ დაემართა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები დამარცხდა ისეთ მონტენეგროსთან, რომელსაც თავისი გამოკვეთილი ლიდერი, იტალიის "რომას" თავდამსხმელი, მირკო ვუჩინიჩი აკლდა. დანაკლისი ჩვენც გვქონდა, მაგრამ კუპერის პირობებში ცოტა ძნელი გასარკვევია, რომელი ფეხბურთელი შეიძლება ჩაითვალოს დანაკლისად და რომელი - არა. მაგალითად, პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშეთაგან ხელფასის ოდენობით მე-9 ადგილოსანი, ყოველი ტურის, თვის და სავარაუდოდ, სეზონის სიმბოლური ნაკრების წევრი, მალხაზ ასათიანი არგენტინელის მიერ წელზე მეტია, რაც შერისხულია და ნაკრებში არ იწვევენ. არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა კუპერსა და ლაშა სალუქვაძეს შორის, რომელიც რუსეთის ჩემპიონის, "რუბინის" ძირითადი შემადგენლობის მცველია. სალუქვაძემ 90 წუთი ითამაშა იტალიის "ინტერის" ვარსკვლავური თავდასხმის წინააღმდეგ და უმაღლეს დონეზე ჩაატარა მატჩი, ხოლო ოთხ დღეში, პრემიერლიგის მორიგ ტურში "ლოკომოტივის" კარში გოლიც კი გაიტანა. ეს ყველაფერი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ სალუქვაძე ნაკრებში თუნდაც შემცვლელად მიეწვიათ. კუპერის სასელექციო "ნოვატორობებზე" სიტყვას აღარ გავაგრძელებ - ისედაც ყველაფერი ნათელია.

ერთადერთი, რითაც ალბათ, არავის ჩამოუვარდებით - ძველბიჭობაა. მონტენეგროელებთან შეღაპარაკება მოხდა, რა დროსაც ჩვენებმა მასპინძლებს მართლა არაფერი დაუთმეს - ხელითაც გაიწიეს, "საქმეებიც არჩიეს" და არაფრის მორიდებიათ. მათ გასაგონად ვიტყვი - "შორტებიანი ძველი ბიჭი" რაღაც არ ჯდება თბილისურ, ზოგადად ქართულ, გნებავთ საერთაშორისო ძველბიჭობის ნორმებში. ვინც თავს ამ კატეგორიას მიაკუთვნებს, უმჯობესია ფეხბურთიდან წავიდეს და "ბირჟაზე" გადაინაცვლოს, იქნებ იქ მეტი წარმატება ხვდეს წილად. მინდორზე კი ასეთი მოქცევა მხოლოდ წითელი ბარათით ჯილდოვდება, რაც ისედაც შეჭირვებული ჩვენი ნაკრებისთვის კიდევ ერთი სარმის გამოკვრაა.

გაბელიას გუნდმა დუბლინიდან ქულა წამოიღო

საქართველოს ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჯერაც ერთი თფამაშიც ვერ მოიგო, მეტნაკლები წარმატებით ასპარეზობს ოთარ გაბელიას ახალგაზრდული ნაკრები.

21 წლამდელებმა ირლანდიაში გამართეს 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი და დუბლინში ქულის აღებაც შეძლეს. ირლანდიის ნაკრები 28-ე წუთზე ალან ჯაჯის გოლით დაწინაურდა, თუმცა საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე გიორგი ივანიშვილმა საპასუხო გოლის შეგდება მოახერხა. საინტერესოა, რომ ამ მატჩამდე საქართველოსა და ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს ორი მსატჩი ჰქონდათ გამართული. ეს მოხდა 2003 წელს და მაშინაც ორივე შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. ამრიგად ტრადიცია არ დაირღვა.

დღესდღეობით ოთარ გაბელიას გუნდის აქტივში 4 ქულაა. მომდევნო ოფიციალურ მატჩებს ჩვენი გუნდი 14 და 18 ნოემბერს ჩაატარებს: ჯერ თბილისში ირლანდიას უმასპინძლებს, შემდეგ კი შვეიცარიას ესტუმრება. ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრაში შვეიცარიის ნაკრებმა სტუმრად ესტონეთს 4:1 სძლია.

ამჟამად ქართველი ახალგაზრდები ჯგუფში მეოთხე ადგილზე არიან და მართალია პირველ ადგილზე მყოფ შვეიცარიის ნაკრებს 5 ქულით ჩამოვრჩებით, მიაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გაბელისა გუნდს ჯგუფის ლიდერთან შედეარებით ერთი მატჩით ნაკლები აქვს გამართული.

ევროპის ჩემპიონატის საგზურს. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება ავტომატურად იძლევა ფლეიოფის საგზურს. რაც შეეხება მეორე ადგილოსნებს, მათგან მხოლოდ ოთხი საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას ევროპის ჩემპიონატოის საგზურისთვის.

ევრო 2011 - შესარჩევი ტურნირი. 9 ოქტომბერი, 2009. ირლანდია, დუბლინი, „თელლაით სთედიუმი“. 2.500

ირლანდია 1:1 საქართველო

გოლები: 1:0 ა.ჯაჯი (28), 1:1 გ.ივანიშვილი (89)

ირლანდია: შ.რედმონდი, ს.კოულმენი (ს.ჰაუტონი 80), გ.განინგი, ბ.მოლოუნი, კ.მორისი, ს.გლისონი, ა.ჯაჯი, ო.გერვენი, ს.შერიდანი, ჯ.მაკართი (ჯ.კოლინზი 90), კ.ტრეისი (ჯ.ოში 80)

მწვრთნელი: დონალდ გივენსი

საქართველო: რ.კვასხვაძე, გ.თომაშვილი (გ.ჭედია 88), ლ.თოთაძე, მ.დაუშვილი, ი.კლიმიაშვილი, გ.ივანიშვილი, ლ.ყენია, მ.ვაწაძე (გ.ჯანელიძე 72), გ.გუგავა (ლ.კუტალია 62), გ.ხიდეშელი, ლ.კაკუბავა

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაფრთხილება: ს.კოულმენი, ო.გერვენი, ლ.ყენია, ს.გლისონი, გ.ხიდეშელი, ლ.კუტალია

მსაჯები: გ.დალუკასი; დ.ბოზაძიდისი, დ.სარაიდარისი (საბერძნეთი)

ამირანი წარმოგიდგენთ...

საქართველოს ნაკრები ბაქოდან რვა მედლით ბრუნდება

გიგა გურასაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბაქოს მსოფლიო თასზე გაფართოებული, მაგრამ მაინც არასრული შემადგენლობით წარსდგა, ნაკრების ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა ამირან ტოტიკაშვილმა საკუთარი სამწყსო მედლებამდე და გუნდურ მეორე ადგილამდე მიიყვანა. მისთვის სადებიუტო ასპარეზობაზე საქართველოს ნაკრებმა ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. 17-კაციანი შემადგენლობიდან ხუთია ისეთი, რომელიც ჩასათვლელი ადგილების გარეშე დარჩა. დანარჩენებმა მეხუთე ადგილები დაიკავეს.

გუჯეჯიანმა მსოფლიო თასის მეორე დღეს საქართველოს ნაკრებს მეორე ოქრო შემატა

ბაქოს მსოფლიო თასზე წარმატებული გამოსვლა ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო, რადგან ტიტულოვანი ძიუდოისტებიდან მასში ასპარეზობა თითქმის არავინ ისურვა. მონაწილე 14 ქვეყნის ნაკრებსშორის საქართველო მრავალრიცხოვნებით მხოლოდ მასპინძელ აზერბაიჯანს ჩამოუვარდებოდა. 98 ძიუდოისტს შორის 22 წარმომადგენელი აზერბაიჯანელებს ჰყავდათ და მოლოდინი-სამებრ გუნდური პირველი ადგილიც სამი ოქროსა და ორი ვერცხლის მედლით მათ დაისაკუთრეს. მესამეზე კი ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედლით რუსები გავიდნენ. ამასთან ორიდან ერთი ოქრო რუსების საჩემპიონო ყულაბაში ტომით ქართველმა რობერტ მშვიდობაძემ ჩააჩრიალა.

მრავალრიცხოვნების გამო საქართველოს ნაკრების წევრებს რამდენიმეჯერ რომ მოუწევდათ ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა მოსალოდნელი იყო. ასეთი დაპირისპირებებიდან კი ყველაზე მნიშვნელოვანი 73 კილოგრამ წონითი კატეგორიაში ზაზა კედელაშვილისა და დავით კუპრაშვილის ფინალია.

ფიანალმდე სამგზის ევროპის ჩემპიონმა ისრაელის ნაკრების წევრ იოსებ პალელაშვილს გაფრთხილებით აჯობა, მერე პოლონელ მიხალ კუბინიეცს გაუსწორდა ორ წუთში, ნახევარფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე იური ომაძეს სძლია, ფინალში კი....

კუპრაშვილმა ფინალამდე პოლონელ ადამ ბრიზს, აზერბაიჯანელ ამილ გასიმოვსა და იაპონელ ჰიროიუკი აკიმოტოს სძლია, ნახევარფინალში კი მიხეილ ხომიზურს. მერე კედელაშვილის წინაღმდეგაც გავიდა ტატამზე, მაგრამ აქ გამარჯვება იპონით ევროპის სამგზის ჩემპიონს დარჩა.

მსოფლიო თასის პირველ დღეს ოქროსა და ვერცხლის გარდა ამირან ტოტიკაშვილის სამწყსოდან მედალამდე გაიკვალა გზა ამირან პაპინაშვილმაც (60 კგ.). ეგაა, ამ შემთხვევაში ქართველის მონაგარი ბრინჯაოს მედალია.

ერთი სიტყვით, მსოფლიო თასის პირველი დღეს საქართველოს ნაკრებმა სამივე ხარისხის მედალი დაისაკუთრა.

საქართველოს ნაკრებისთვის გაცილებით შედეგიანი გამოდგა მსოფლიო თასის მეორე და დასკვნითი დღეც. ტოტიკაშვილის ნაკრების რვა წევრიდან კვარცხლბეკამდე ხუთი მათგანი მივიდა. მათ შორის ყველაზე შორს მძიმეწონოსანი ლაშა გუჯეჯიანი წავიდა. ჯერ იყო და მასპინძელს გაუსწორდა, მერე უკრაინელსა და რუსს, ფინალში კი პოლონელს გაუმკლავდა და ნაკრებს მეორე ოქროს მედალი შემატა. ამავე წონაში იგივე შედეგთან იყო ახლოს ადამ ოქრუაშვილიც, მაგრამ პირველ წრეში სწორედ იმისგან იწვნია მარცხი, რომელსაც მოგვიანებით ფინალში გუჯეჯიანი გაუსწორდა. ბრინჯაოსკენ მიმავალ გზაზე კი ოქრუაშვილმა ბელორუსი, მერე კი რუსი ძიუდოისტი დაამარცხა და მესამე ადგილიც დაიკავა.

საქართველოს ნაკრები მსოფლიო თასის მეორე დღეს ყველაზე მეტად 90 კილოგრამ წონითი კატეგორიაში იყო წარმოდგენილი - ოთხი ძიუდოისტი. მათ შორის ორმა გრიგოლ მამრიკიშვილმა და მინდია ბოდაველმა მედლებამდე გაიკვალეს გზა. მამრიკიშვილმა სულაც ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, მაგრამ მასპინძელ ელხან მამადოვის ბარიერი მისთვის გადაულახავი აღმოჩნდა. იქამდე იგივე ბედი ეწია ბოდაველსაც, რომელმაც წაგება სწორედ მამადოვისგან იგემა. მასპინძელთან წაგებით კი მდგომარეობა იმით გამოასწორა, რომ მოგვიანებით მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსი ფრანგ ჰერვ ფიშოსთან წარმატებით გამოიყენა.

გუშინ მსოფლიო თასის გათამაშების დასკვნით დღეს კიდევ ერთი ბრინჯაო ლევან ჟორჟოლიანმა (100 კგ.) მოიპოვა.

„სამაიას“ სამიანი

მაკედონიის ქალაქ ოჰრიდში დასრულებული ევროპის თასი ქართული საჭადრაკო კლუბის „სამაიას“ მესამე ადგილითა და სპეციალური თასით დასრულდა. საპრიზო ადგილების ბედი გათამაშების ბოლო ტურში გაირკვა. რუსულმა „სპარტაკ-ვიდნოემ“, სერბული „რადნიჩკი“ 3:1 დაამარცხა და 12 ქულით მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. იქამდე კი ვერცხლის მედლების დაუფლების საუკეთესო შანსი ჰქონდა „სამაიას“, რისთვისაც პოლონური „პოლონია“ ნებისმიერი ანგარიშით უნდა დაემარცხებინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ პოლონელებთან ჭიდილში მაია ჩობურდანიძის მიერ შავი ფიგურებით მოპოვებულ გამარჯვებას თანაგუნდელთაგან შესაბამისი გაგრძელება არ მოყვა. ლელა ჯავახიშვილმა და მაია ლომინეიშვილმა პარტიები ყაიმით დაასრულეს, სოფო ხუხაშვილმა კი თეთრი ფიგურებით რეიტინგში გაცილებით დაბლა მდგარ მეტოქესთან წააგო და პოლონელებთან დაპირისპირება 2:2 დასრულდა. შედეგად, „სამაიას“ მონაკოს „მონტე-კარლოს“, რუსული „ეკონომისტისა“ და მონტენეგროს „პოდგორიცას“ დარად 9 ქულა მოუგროვდა, დამატებითი მაჩვენებლებით კი მესამე ადგილზე გავიდა. მეორეზე უძლიერესი მოჭადრაკეებით დაკომპლექტებული ტურნირის პირველი რეიტინგის მქონე „მონტე კარლო“ აღმოჩნდა.

„სამაიას“ შემადგენლობაში ყველაზე კარგი შედეგი ლელა ჯავახიშვილს აღმოაჩნდა, რომელმაც შვიდივე ტურში ითამაშა და გუნდს 4.5 ქულით შეეწია. დანარჩენ მოჭადრაკეთა მონაგარი ასეთი გახლდათ: ჩიბურდანიძე - 3.5 (6), ლომინეიშვილი 2 (5), ხუხაშვილი - 3.5 (6), მელია - 2 (4).

სომხურმა „მიკამ“, რომლის ღირსებასაც ნინო ხურციძე (2420) იცავდა, 7 შესაძლებლობიდან 6 ქულით, 11 გუნდს შორის მე-9 ადგილი დაიკავა. ქართველმა მოჭადრაკემ 6 პარტიაში 2.5 ქულა მოაგროვა და მხოლოდ გუნდის ლიდერ ელინა დანიელიანს ჩამორჩა - 4 (6). 8 ქულით მე-6 პოზიცია დაიკავა რუმინულმა „კოტნარი-პოლიტენიკამ“, რომელშიც ან უკვე შოტლანდიის სახელით მოასპარეზე ქეთევან არახამია-გრანტი (2499) ირიცხებოდა. ქეთევანს რუმინელთა რიგებში პირველი რეიტინგი გააჩნდა, თუმცა, 5 შეხვედრაში მხოლოდ 0.5 ქულის (!) აღება შეძლო.

4-10 ოქტომბერი. ოჰრიდი (მაკედონია). ევროპის მე-14 საჭადრაკო თასი.

ბოლო ტური

„პოლონია“ (პოლონეთი) - „სამაია“ (თბილისი) 2:2

ივეტა რაილიჩი (2465) - მაია ჩიბურდანიძე (2506) 0:1

ლელა ჯავახიშვილი (2472) - იოლანტა ზავადსკა (2414) 0.5:0.5

კარინა შჩეპკოვსკა-ჰოროვსკა (2321) - მაია ლომინეიშვილი (2378) 0.5:0.5

სოფო ხუხაშვილი (2451) - მონიკა კრუპა (2219) 0:1

„რადნიჩკი“ (სერბეთი) - „სპარტაკი“ (რუსეთი) 1:3

„ეკონომისტი“ (რუსეთი) - „მიკა“ (სომხეთი) 2.5:1.5

„მონტე-კარლო“ (მონაკო) - „ბეოგრადი“ (სერბეთი) 3:1

„კოტნარი-პოლიტექნიკა“ (რუმინეთი) - „ვანდოევრე“ (საფრანგეთი) 4:0

საბოლოო მდგომარეობა

1. „სპარტაკი“	12 ქულა
2. „მონტე-კარლო“	9
3. „სამაია“ -	9
4. „ეკონომისტი“	9
5. „პოდგორიცა“	9
6. „კოტნარი-პოლიტექნიკა“	8
7. „პოლონია“	8
8. „რადნიჩკი“	7
9. „მიკა“	6
10. „ბეოგრადი“	5
11. „ვანდევრე“	2

მარკიზიო ისვენებს

ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი კლაუდიო მარკიზიო ერთ თვეს იუქმებს. 23 წლის მარკიზიო სანაკრებო შეკრებაზე ტრავმირებული მენისკით გამოცხადდა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ ქირურგიული ჩარევა სჭირდებოდა. ის „სკუადრა აძურაში“ მიმდინარე წელს მიიწვიეს და 2 შეხვედრა ჩაატარა. მარკიზიო „იუვენტუსში“ 2006 წლიდან გამოდის და 52 შეხვედრაში მეტოქის კარი 6-ჯერ აიღო.

კანავარო გადარჩა

გასული კვირის მთავარ საფეხბურთო სკანადლად იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მცველის ფაბიო კანავაროს დოპინგზე ჩავარდნა იქცა, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 2006 წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული იტალიელი იოლად გადარჩება. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ანტიდოპინგური სამსახურის ხელმძღვანელის, ეტორი ტორის ოფიციალურ განცხადებას ჯერ კიდევ ელის სპორტული საზოგადოება, მანამდე კი შექმნილ სიტუაციაზე კომენტარი იმავე ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ენიო კარპეჯანიმ გააკეთა. "ამ შემთხვევაში უმთავრესი დამნაშავე "იუვენტუსის" სამედიცინო პერსონალია, მაგრამ მათი საქმიანობა ჩვენ არ გვეხება, მათ თვითონ კლუბი მიხედავს. რაც შეეხება ოლიმპიური კომიტეტის პოზიციას, სავარაუდოდ, ჩვენ ამ საქმეს მალე დავხურავთ, კანავარო კი სოლიდურ ჯარიმას გადაიხდის და ყველაფერი ამით დასრულდება", - აღნიშნა კარპეჯანიმ.

სისინიო მოედნისკენ იწევს

"რომას" ბრაზილიელი მცველი, 29 წლის სისინიო სრულად გამოჯანმრთელდა და მოედანზე გასასვლელად მზად არის. შეგახსენებთ, რომ იტალიური კლუბის სამხრეთამერიკელმა განაპირა უკანახაზელმა მარტში მუხლის ტრავმა მიიღო და მწყობრში დასაბრუნებლად ერთბაშად შვიდი თვე დასჭირდა. "ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აღარ მაქვს. ყოველდღე თავს უკეთესად ვგრძნობ და სათამაშო ფორმასაც ვაუმჯობესებ. ერთადერთი, რაც ახლა ყველაზე მეტად მჭირდება, სათამაშო პრაქტიკაა. დარწმუნებული ვარ, ოპტიმლური ფორმის აღსადგენად მხოლოდ რამდენიმე თამაში დამჭირდება. ვერ გეტყვით, "მილანთან" შეხვედრაში მწვრთნელები მომცემენ თუ არა მოედანზე გასვლის საშუალებას, მაგრამ საამატჩო განაცხადში შეყვანითაც კმაყოფილი დავრჩები. მოკლედ, მე უკვე მზად ვარ და მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა კვლავ მომეცემა "რომას" ფორმით თამაშის შესაძლებლობა", - თქვა ბრაზილიელმა მცველმა.

ტონი ბრუნდება

მიუნხენის „ბაიერნის“ 32 წლის იტალიელი თავდამსხმელი ლუკა ტონი, რომელსაც აქილევსის მყესის გამო ოთხი თვე გაუცდა, ძირითად შემადგენლობას უკვე 17 ოქტომბერს, „ფრაიბურგთან“ სტუმრად გასამართ შეხვედრაში შეიძლება დაუბრუნდეს. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალება გერმანულ მედიას მას შემდეგ მიეცა, რაც მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა გერმანულ ერთ-ერთ სპორტულ ტელეარხთან (საუბარში აღნიშნა, რომ ტონი "სასურველ ფორმას უკვე ძალიან მიუხლოვდა.“ „როცა ფეხბურთელი მზად არის, ის შემადგენლობაში ხვდება. ბოლო დღეებია, სხვებთან ერთად ლუკა ტონისა და მარკ ვან ბომელსაც ვავარჯიშებ და შემიძლია გითხრათ, რომ ისინი სასურველ ფორმას ძალიან მიუახლოვდნენ, ეს განსაკუთრებით ტონიზე ითქმის“ - აღნიშნა ვან გაალმა.

დელ ბოსკე ბოსნიას შანსს აძლევს

ესპანური მედიის ინფორმაციის 14 ოქტომბერს ესპანეთისა და ბოსნიის ნაკრები გუნდების შეხვედრაში პირინეელები ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ითამაშებენ. „ვალენსიას“ მცველ კარლოს მარჩენას და „ფენერბახჩეს“ ფორვარდ დანიელ გუიზას ბარძაყის ტრავმა აქვთ; „არსენალის“ ლიდერი სესკ ფაბრეგასი, ოჯახური პრობლემების გამო, დაეთხოვა ევროპის ჩემპიონების თავკაც ვისენტე დელ ბოსკეს; ბარსელონელები - ხავი და კარლეს პუიოლი კი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ჩავლენ ბალკანეთში: ხავი, უბრალოდ, მწვრთნელმა დაასვენა, პუიოლმა კი სომხეთთან მოგებულ მატჩში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაცია აქვს.

ეს მშვენიერი შანსია ბოსნიისთვის, რათა ესპანეთის უწყვეტი მოგებათა სერია დაასრულოს შესარჩევ ჯგუფში. თანაც, მიროსლავ ბლაჟევიჩის გუნდს მოგება სჭირდება - მართალია, ბოსნიამ ჯგუფში მე-2 ადგილი გაინაღდა, მაგრამ ჯერ კიდევ არის შანსი, რომ პლეი-ოფში ვერ მოხვდნენ.

შეგახსენებთ, 9 მეორეადგილოსნიდან ერთი, ყველაზე უარესი მაჩვენებლის მქონე გუნდი პლეი-ოფში ვერ გავა.

საჩუქრები მთელი წელი!

ოქტომბერი

გახსენით **ვადიანი ანაბარი დოლარში** 1 წლით და მიიღეთ

+1%

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს